

სალიტერატურო და საპენსიარო ნახაზიანი ზაზეთი. გომოდის ყოველ კვირა დღე.

№ 19

აპრილი, 28 1896 წ.

№ 19

შინაარსი: სპარსეთის შაჰი ნასრ-ედინი გ. წერეთლისა. — გვირის სურათები ცვიბატისა. — სხვა-და-სხვა ამბავი. — სავა-რადღებო ამბავი. — სრეთის დანგრევა; ლექსი გ. ზაქარაიისა. — შავი ქვის მრეწველთა კრება ქუთაისში გ. წერეთლისა. — გორგონი, ლექსი ველოშვილისა — დროებითი ურთიერთობა; ძისა. — ბაში-აჩუგი (გაგნაღღება) აკაცისა. — სახუმარო გასართობი. — ბათუმისა და სხვა. — უკრატყა: სალიტერატურო შენიშვნები დღევანდელსა. — ხუმრო (შეხვეტი) გ. ბარნოვისა.

აკვალის“ ზელის მომწერლებს მოვავრახებთ, ვისაც ფული ან შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

სპარსეთის შაჰი ნასრ-ედინი.

მკვირეში მოხდა შესამჩნევი ამბავი, რომელიც მსოფლიო პოლიტიკაში უმნიშვნელოთ არ დარჩება. სპარსეთის შაჰი ნასრ-ედინი მოკლა ერთმა სპარსელმა, ჯერ კარგათ გამოკვლეული არ არის, რა იყო ნამდვილი მიზეზი ამ მკვლელობისა. ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ მისი მკვლელი გამოჩნდა ბაბის სარწმუნოების აღმსარებელი სპარსელი, ამ რჯულის სპარსელებს არ ჰქონდა თვითმპყრობელი მეფე. ქვეყანა მიიჩნიათ ლეთის საკუთრებათ, სადაც ლეთის მიერ გაჩენილს კაცს — შეფე იყოს იგი, გინდ ხელოსანი, — არა აქვს არაფერით უფლება ლეთის მიერ გაჩენილი მისივე მოძმე, ანუ მებობელი დამონოს, ქვეშევრდომთ, ანუ მოყმეთ გიხადოს. მათი აზრით, ქვეყანა თავისი მიწა-წყლით ღმერთმა კაცობრიობას თანასწორათ გაუნაწილა, ასე რომ ერთმა მეორეზე მეტი არ უნდა ისარგებლოსო. უკეთეს ისარგებლა და ამით თავისი მოძმე დაზარა, მაშინ იგი ჰხდება ლეთისგან შერისხული და ყველას ნება



სპარსეთის მეფე, შაჰი ნასრ-ედინი.

საქართველოს მემორიალი

ექლესია მოსპოს იგი და ამით აღადგინოს ღვთის სა-
მართალი, ამ სარწმუნოების აღმსარებელთ სისტემათ
ღვენიდა სპარსეთის მმართველობა, მაგრამ ბოლოს
მანძილ სპარსეთის მუფთე შეიქმნა მისი მსხვერპლი.
ჩვენის აზრით მართა სარწმუნოებრივი მძულვარება
არ უნდა იყოს ნასრ-ედინის მკვლელობის მიზეზი,
აქ ჩვენ ვგვარებთ საიღუმლო კენაშ პოლიტიკური
მოსაზრებისას. ვისთვის იყო სასარგებლო შაჰ ნასრ-
ედინის სიკვდილი—ქნელი გამოსაცნობია, მხოლოდ
ვიტყვი, რომ ნასრ-ედინს დიდი მგებობა ჰქონ-
და რუსეთის იმპერიასთან და ამ გარემოება სრუ-
ლებით გააქარწყლა ინგლისის ზედ გაეღუნა სპარსე-
თის სახელმწიფოზე. ამის გამო ნასრ-ედინის სიკე-
დილის შეიღება, მოპყვეს მძიმე საპოლიტიკო ხლარ-
თი, თუ რომ მისმა მემკვიდრემ უმტყუნა შაჰის
პოლიტიკას და სხვა მხრით მიმართა თავისი მისწრა-
ფება. ყოველსავე ამას მალე გაგვიმარტებს ახლო
მომავლი, სპარსეთის შაჰი ნასრ-ედინი დაიბადა
1830 წელს. ის იყო სამოკდა ექსი წლის კაცი,
მაგრამ ჯერ კიდევ მხენ და განათლების მოყვარუ-
ლი, პირველ იმან ვატება აღმოსავლეთის მტარეალო-
ბის მედიდრობა, რომლის გამოც სპარსეთის მპყრო-
ბელს დამტრებათ მიაჩნდა უცხო ქვეყნების მიმო-
ხილმა. ნასრ-ედინი გავმზავნა ევროპის სახელწი-
ფოებში თავისი ახალით. შედეგი ამ მოგზაურობი-
სა მალე დაეტყო შინაგან ცხოვრებას სპარსეთისას.
იქ ნელ-ნელა შევიდა ევროპული წეს-წყობილება.
გაიმართა რკინის გზები, ვაჭრობა აღორძინდა, ჯარი
ევროპულ წესზე გამოაწყვეს და ჯავშნიანი გემებიც
შეიძინეს.

შაჰი ნასრ-ედინი ნიჭიერი და გულ-მოწყალე
კაცი იყო. ფრანკულ ენაზე ლაპარაკობდა და თეი-
თანაც მწერლობდა. მან შეადგინა სპარსულ-ფრანგუ-
ლი ლექსიკონი და აწერა თავისი მოგზაურობა ევ-
როპაში 1873—1878 წლებში. იმას განსაულორე-
ბით უყვარდა სპარსულა პოეზია და „შაჰ-ნამე“ თი-
თქმის ზეპირათ იცოდა.—შაჰი ნასრ-ედინი ევროპის-
კენ გამზავრების წინათ მობძანდა თბილისში და
კავკასიის აქეთა მხარე დიდათ მოიწონა.

ბ. წერეთელი.



კვირის სურათები.



მასწინათ იმერეთიდან მოყვლიდი, ხარკაულის
რომ გამოეცლიდით, რკინის გზაც შეწყდა.
მოლითამდის ოთხი ევრსტი მეტი მქონდა გა-
სეკლელი, ძლიეს რათიც ექნა, მივაწიე ცოცხალ-

მკვდარი მოლითის სტანციაშიდს. დალალოლ-დაქან-
ტული შევიდა ვაგონში, იქვე წავედო და ჩამეძინა.
ენახე სიხპარი გასალოარი. ვითამ ერთ დიდ დაზ-
ბაზში შევიდი. ის იყო განათებული ელექტრო-
ნით, შივ ფუსფუსებდა ხალხი. ძირს მოთავსებულ-
ყო „დარბაისლობა“—ჩოხოსნები და ფრაკოსნები,
ზვეით—მანდილოსნები, უფრო ზვეით—წერალ-ფე-
ხობა, მოსწავლენი და ნოქრები. ვისაც კი საზოგადო-
საქმებისთვის გული ტკივოდა, ან და მათზე უფრ-
რია რამე და ოდესმე, ყველა შეყრილიყო აქ და
გულსმოადინეთ ისმენდა ბაჰსს. ბაჰსობდენ მალა,
საპატოა ადგილზე მსხდომნი—წინაკაცები და მ-
თი მიპირდაპირენი და მომხრენი. ამ უკანასკნელთა
შორის საზოგადო ყურადღებას იზიდავდა ერთი პ-
ტარა, ანხლი, ყორანსავით შავი ორატორი, რომე-
ლიც ხელების პრანჭვით და სახის უცნაური ღმე-
ჭით აღაგებდა მალა-ფარდიან ფრაზებს.

—ბატონებო!—მკვერმეტყველობდა იგი—ს-
მართლე, კანონიერება და სინიდისი,—აი, სამა ბურ-
ჯი, რომელზედაც დამყარებულია კაცობრიობა. გუ-
ჯონებით იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომელსაც სხვა
მიზეზი არა აქვს, თუ არის, რომ ადამიანი ზედნი-
რი იყოს, სამიფრებას, ღვნენას და სხნარულს არ
იყოს მოკლებული,—ეამობთ, გოჯონეთი იქნებო-
და, რომ ამ წიწვა-გლეჯის ბაზარში სხიე-ფენილ
მადლსაც არ გაქტონდეს თავისი პატისსანი ნამაგა-
რი, თავისა ნაშრომ-ნალაფი კაცთა სანუგეშოთ და
სასიქადულათ. დიდბუნეევრობა ცალკე აღამიანისა,
თუ მთელის ერისა მის მიერ გატანილ მადლის მეტ-
ნაკლებობაშია. ეგ მეტ-ნაკლებობა მადლისა არის
უტყუარი საწყისა ცალკე აღამიანის, თუ მთელის
ერის კაცურ-კაცობისა, მისის შინაგან სიმავრისა, ქე-
კუთხედი მისის აღმატებულებისა. მადლი არის კე-
ბული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურ
განძს, როგორც თვითეულ აღამიანისას, ისეც მთე-
ლის ერისას და ეგ განძია იგი კლდე, რომელზედაც
შენდება ციხე სიმავრე ერის ცხოვრებისა, ერის აწ-
მყოსა, ერის მერმისისა“...

—ჰერი ჰაჰ მორთო რახა-რუხი —მოისმა ხმა—
ეს საღლაც წამიკითხავს!..

—ღიას, წავიკითხავთ და კიდევ გეტყვით სად
იქ, სადაც, ლადადებენ ბავენი, მდუმარენი და თუ-
ცა თქვენ დაჯერებულნი ხართ, რომ ფარისეველო-
ბა ფარისეველობაა, მაგრამ მე მანძილ განვავრძობ:

—აღამიანი და ნამეტნავათ ერი არა „პურითთ
ერთითა ცოცხალ არს“. ცხოვრება ერთიანი მდნა-
რეა ორის დიდის ტოტისა. ერთს რომ ხორცისათვის
მოაქვს საზრდო, მეორეს—სულისათვის. თუ ან ერ-

თი დაშრა, ან მეორე—გვაში ვრისა მკედარია, ვი-
 დარცა უსულოთ ხორცო და უხორცოდ სული, სა-
 ქაოსათის მაინცა. ამიტომაც ვინცა ჩივის და ჰლა-
 ლდება სახორციელო პურისათვის, ის იმდენათვე, თუ
 ამ მტათ უნდა იღწეოდეს სასულიერო პურისათვი-
 სც. ადამიანი, თუ მთელი ერთი იმისათვის კი არ არის
 შენიღბი, რომ პური ჭამოს, არამედ პურსა ჭამს,
 ამიტომ რომ კაცური-კაცურათ იცხოვროს და აცხოვ-
 როს თავისი შთამომავალი...

—ჰ! პურზე დაიწყო ლაპარაკი... ახლა კი მი-
 ვის თავის საგანს!.. მაგრამ ეს კაცური ცხოვრება
 რაზე დაქირდა?—მოსიმა კიდე.

—ეით მამა ზეცის იყავნ შენც სრული!—აი,
 თვეი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა!—არ იშ-
 ლადა მაინც თავისას ორატორი. „სიმაართლე, კანო-
 ნიტრება, სენიდილი...“ „სენიდილი, სიმაართლე, კან-
 ნიტირება“, ისმოდა წამ-და-უწუმ...

—რაიო? სიმაართლეო? სენიდილიო? საკვირ-
 ველ არიან, უფალო, საქმენი შენიწ!—იწერდა პირ-
 ვგარს იგივე ურწუმენო თომა...

—
 უცებ გაქრა ეს სანახაობა. შემდეგ მეჩვენა მეო-
 რე სურათი. ენახე იგივე დარბაზი, ეკრთეთვე განათე-
 ვილი ელექტრონიით; იგივე დარბაზილომა დინ-
 ვით ისხდა და უსმენდა „წინა-კაცებს“. ჩოხოსნები,
 მანტილოსნები სულგანაბული შეეძკეოდენ უკბო
 ერთობას...

—ოჰო, ეს კიი კვერნა დეიჭირეთ ამ დილას!
 —მოიწონა ერთმა.

—კვერნა კი არა, მთელი მელაა,—გაუსწორა
 მეორემ. რაო, რას ამბობდა გუშინ: „სიმაართლე,
 კანონიტრება, სენიდილი—სამი ბურჯიო!“...

—მაგი კიდე რა? „დღებუნენიანობაზე“ ბრძა-
 ნებდა... „კლდეო“, „განძიო“, „ქეაკუთხედო“, „ტი-
 სუო“... რა ვიცი, რას მიედ-მოედებოდა?..

—„არა პურითა ერთითა ცუცხალ არს ერთიო“!..
 სულიერი... სულიერზედაც იღწეოდეთო!..

—ეით მამა ზეცის იყავნ შენ სრულიო! სი-
 ნიდილი, კელე სენიდილი, და კიდე სინიდილიო...

—
 უცებ ეს სურათიც გაქრა, მაგრამ მესამეთაც
 მეჩვენე დარბაზი ენახე სიმაართში. იგი კელაეც განათე-
 ვილი იყო და კიდე უწინდულათვე სასეც იყო ხალ-
 ხით. ბასობდენ, მსჯილენ, ექიმგებოდენ, ეწინაღ-
 დებებოდენ ერთი მეორეს. ყველაზე მაღლა ყვირო-
 და იგივე პატარა, ცმუტურა, შავკერემანი ხოტორტი-
 ვილი. გუშინდელი არაფერი ეტყობოდა,—გვგანე-
 პობდათ, დავიწყებია ყოველისფერიო. პირიქით, უფ-
 რი რიბიანათ არახუნებდა სიტყვებს, უფრო შეუპო-

ერთ არიგებდა კრებას, თუ როგორ უნდა გაცილოს
 საზოგადო საქმეს...


—„სიმაართლე“... „სინიდილი“... „მოგალო-
 ბა“...—წამ-და-უწუმ განსმოდა დარბაზში...

—რას ნიშნავს ეს?—გაოცებით დაეკითხე მე-
 ზობელს.

—ჰ! რას ნიშნავს?—წაღელიანათ მომიგო მაინ
 და, პასუხის მაგიერ, თავისთვის ჩაბრტუტუტა:

ჯერი მიღვა მელოაზე,
 ტურაც ზედ-ნადებიაო,
 დაგელოკოს სიმაართლი,
 ღმერთო, რა ამბებიაო!

კვამბო.



სხვა-და-სხვა ამბები.

მ არშან 11 სექტემბერს კრწანისის ველზე მო-
 მხდარ ამბავს ჩვენ ხელოსნებზე დიდი გაე-
 ლენა ჰქონებია: იმათ ახალ დაარსებულ ამ-
 ხანაგობას კრწანისის ომის მოსაგონებლათ იმ დღეს,
 ე. ი. 11 სექტემბერს, მიუწვევია კრწანისის ველზე
 ფოტოგრაფი და გადუღებინებიათ ორი სურათი.
 სურათებზე აკაცის ლექსებია მოყვანილი. ორი-
 ვე სურათი ღირს ერთი მართი. შემსული ფუ-
 ლიდან მანეთზე ერთი აბაზი გადაიდება ირაკლის
 ფონდისთვის. იმედია, ქართველი საზოგადოება თანა-
 გრძნობით მიეგებება ქართველ ხელოსნების განზრახ-
 ვას. ეს სურათები იყიდება „წერა-კითხვის საზოგა-
 დოების“ მაღაზიაში.



ჩვენ გვთხოვენ, გამოეცხადათ, რომ თბილის-
 ში დაარსდა საეკიო ამხანაგობა „შუამავლი“. ამ
 ამხანაგობის დროებითმა გამკეობამ ამოიჩინა ავენ-
 ტებათ თბილისში: სიმარე ქონია, ა. თაიძე, არ,
 ორმოცაძე და სოსო კალელაშვილი, ხოლო განჯა-
 ში ბ-ნი დლოიძე და ბათუმში ივანე კაქაბაძე. ამ
 ამხანაგობის საქმე ჯერ-ჯერობით კარკათ მიდის და
 იმედია, მკვიდრ ნიადაგზე აღრე დადგება, რაშიაც
 ძლიერ საქმროა ჩვენი შეგნებული და შეძლებული
 პირების დახმარება და საქმის რიგიანათ მოწყობა.
 ამასთანავე მოვეციდა ამხანაგობის წესდება.



დსნსხუთიდან (ოზურგ. მახ.) გვეწერენ: ამ თვის

21 დღისთ ვერას ოზურგეთიდან გვესტუმრენ „ტურისის საეპარქო ამხანაგობის“ წარმომადგენელი კ. თავართქილაძე და დ. კალანდარაშვილი. დიდმა საზოგადოებამ შეიყარა თავი, რომელსაც ბბ. თავართქილაძემ და კალანდარაშვილიმა აუხსნეს, თუ რა მიზანი აქვს სტენგულ ამხანაგობას და თხოვეს მოწინააღმდეგეების მიღება: საზოგადოებამ დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა ამ საქმეს, შნ კაცზე მეტი იქვე ჩაუწერა ამხანაგობაში წევრებათ; ამას გარდა აზნ. ყორღანიებმა უფასოთ დაუთმეს ამხანაგობას საჭირო სახლების ასაგებათ ორი ქვეყა ადგილი, ღირებული არა ნაკლებ 300 მანათსა, როგორც განგეზმარტა ბ. კალანდარაშვილიმა, ამ წელს ამხანაგობა მხოლოთ აბრეშუმის მოკიდებს ხელს და ადგილობრივ ნაწარმოებს რიგან ბაზარს მოუბოვებს, შემდეგ კი სხვა წარმოების დარგსაც მიმართენ.

საყურადღებო ამბები.



ფილისის გუბერნიის თავდაზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ კომიტეტის საყურადღებოთ.

ყველამ უწყის, რომ თფილისში არსებობს „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება“. კარგი იქნებოდა კომიტეტს ამ პირებისათვის გვეფიციან სესხათ ეძლია ერთი ხნობითი დახმარება სწავლის დამთავრებას შემდეგ იმდრომდის, ვიდრე მოიპოვებენ ცხოვრებისათვის საკმაო სახსარს, როცა ისინი შეიძლებენ სესხის უკან დაბრუნებას. რამდენათ ეს მოსახერხებელია, ამის გამოჩვენება მივიწყებია კომიტეტისათვის. აქ ჩვენ მხედველობაში გვიქვს კომიტეტის ყურადღება მივაქციოთ სხვა უფრო საჭირო ვარგოებას. დამხმარებელი საზოგადოება შემწობის აღმოჩენის დროს უნდა ხელმძღვანელობდეს: ა) ამწეობა აღმოუჩინოს იმ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც რამე კეთილ იმედს იძლევიან და ბ) ვინც შედარებით სხვა ამხანაგებთან უფრო გაჯირებული არის. საშუალო სასწავლებლების მოსწავლეების შესახებ ცნობები თითონ კომიტეტს შეუძლია, რომ შეკრიბოს. მაგრამ, რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, კომიტეტს საჭიროა ცნობების შეკრება შეუძლია მხოლოთ თვით სტუდენტების დახმარებით. თავის ამხანაგის ნივთიერი მდგომარეობა ამხანაგებმა უფრო კარგათ იციან, ვინემ სხვებმა, ამიტომაც კომიტეტის მოვალეობას შეადგენს, რათა ის ამა თუ იმ პირის ნივთიერ მდგომარეობაზე შეეკითხოს მისივე ამხანა-

ნაგებს. ეს ერთათ-ერთი საშუალებაა, რომ კომიტეტი დახმარების აღმოჩენაში შეცდომაში არ შევიდეს. ამის მაგალითიც: დიდი ხანი რაღა მას აქეთ, რაც ერთმა ჩვენთაგანმა მიიღო სტაჟენდა—340 მანათი წლიურათ სტენგულ კომიტეტისაგან. ამხანაგებმა ტ. რომ გაიგეს, ამ თვის 7-ს შეიკრიბენ მოსალაპარაკებლათ ახალ „სტაჟენდიანტთან“; მიუთითეს მას იმაზე, რომ შედარებით სხვა ამხანაგებთან შენ კარგად ცხოვრობო, გაახსენეს ყოველივე რიგანი აღმანანს ზნეობრივი ფალო და მერე თხოვეს, რათა სტაჟენდა ნამდვილათ გაჯირებულიდესთვის დაეთმო; იმან 110 მანეთზე უარი ვანაცხადა, რადგანაც დარწმუნდა, რომ ამხანაგები სიმაართეს ამბობდენ. არ შეედივარ რომის განხილვაში: მდიდარია ის, თუ ღარიბი, მე მხოლოთ აღვინიშნე იმ ფაქტს, რომ იმან სტაჟენდის ერთ ნაწილზე უარი ჰყო და ამით დაგვიტყუცა, რომ ის სხვებთან შედარებით უფრო მდიდარია ამისთანა არა სასურველ შემთხვევების ასაკიდებლათ. საჭიროა კომიტეტმა ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას, ყურადღება მიაქციოს იმას, რათა ის ოროდღე გროში, რაც საზოგადოებას იმისთვის მიუწოდებ უფრო პირუთენელათ იყოს დანაწილებული. ამ მოთხოვის სამართლიანობა.

ხარკოვის სტუდენტი მ. ჯ. ბ.

* *

სამაქა. (ქუთაისის მახრა) ჩვენში ზნეობა შენა... მართლა და რას მიეწერება ჩვენ საზოგადოებაში სამიკიტნოების ვამარცხება, მით უმეტეს, რა დაბები და ქალაქიც ახლო მდებარებენ სულაც არი საჭირო (?), რომ ერთ პატარა სოფელში იმ და სამი სამიკიტნო და სხვა საეპარქო დღეებში არც ბოზდენ. ხალხმაც შეიგნო, რომ ყოველი ამისა დაწესებულება მისი კეთილ ნაღვაწის შთამთქმელა მისი ნივთიერი ღონისძიებისა და ზენ-ხასიათის განთახსირებელია, და მოინდობა მისი მოსპობა; მთავრობამაც მიანიჭა საზოგადოებას უფლება, რომ უნდა თუ ის ნებას არ მიანიჭებს, ისე ვერავინ იქნება მაგრამ მის და მიუხედავათ კერძო პირები მარცხებრებენ საზოგადოების უფლების გაღალატებას, მითენ სამიკიტნოებს.

* *


ს. ქაღალაძე. (სამიქიოს საზოგადოება) მთელი ერთი უსაზოგადოებო მკვლელობა ამ ცოტა ხანში პირველ აპრილს საღამოზე ყანის შეშვება იქნებოდა.

უღელში მკვდარი ქოლოზნის მცხოვრები, გლეხი ბ. —-ც. ეს კაცი იქმნებოდა 36 წლისა... მთელი თავის სიცოცხლე მან გაატარა დღიურ მუშაობაში. ისთანა დღე არ იქნებოდა, რომ შაური მაინც არ მოვა; ის თხოულობდა დღიურათ უხალთურნიდან მარჯავის. მეტს არ აიღებდა, კიდევაც რომ შეგეძლოათ: არც ტანისამოსისათვის და არც თავის საქმელ-სამშრომლისთვის კაბეც არ ხარჯავდა. ამნაირათ შეგაროვა საზოგადოებრივად რამდენიმე ასი მანეთი. თავის პირებში ფულს არას ოდეს არ იჭერდა და არც თავის სახელზე ასესხებდა... მამისაგან მიჩენილი ჰქონდა დეილი და, ეს რამდენიმე წელიწადი, ცხოვრებდა მისთან, ვისაც ენბრა მთელი მისი ნაღვლი აეღადიდებდა, აქ უკანასკნელ დროს განუე მოსულა, და მის ზრუნველსათვის ანგარიში მოუთხოვია, მაგრამ ანგარიშის ნაცვლათ უარი მიუღია და დღიურ მუშაობაზე დასაწყისად მოსვლიათ, ასე, რომ დაუპირებია ამპირებოდა მას და ისევე მოხუც მამას მიბრუნებოდა... მაგრამ ამას მოჰყვა მისი ღალატით მოკვლა... ამდელი მკვლელი ჯერ არა ჩანს, მაგრამ ადვილათ ამოჩნდება, თუ საქმეს ჯეროვნათ გამოიძიებენ.

7-ს აპრილს მოვიდა ს. ქოლოზანში ქუთაისის ხაზის ექიმი და ხონის გამომძიებლის, ბ-ნ მკობის თანადსწრებით აღმოაჩინა შემდეგი: მაჩვენებნა მხარე მთელის თავისა ყინათ უპოვა მკვდარს დამბრუნებელი და მარცხენა მხარე დამზარული; გარდა მისა, კუჭში უპოვა მოუხელებელი საქმელი და ორი ტუქანი ღვინო, რითაც დამტკიცა, რომ ბესარიონის არის მოკლული ნაგავსმეც ორ საათს შემდეგ, როცა მას ძინებია, თავში ურის დაკვრით... მეორე დღეს ქოლოზანს ეწვია ყაზახებით ხონის ქალაქის ბოქაული, პორფირე ვაშლიომიძე, 10-ს აპრილს დღით ქოლოზნის ეკლესიის მოედანზე გაისმა ბუკის ყრა სოფლის მოსაწოდებლათ. უცბათ სოფელიც შეიკრინა. ბ-ნი ბოქაული ითხოვდა ხალხისაგან, აღეწინათ ის პირები, რომელთაც ბრალს ადებენ ამ მკვლელობაში. სოფელმა დაადგა ხელი ორ ოჯახს, რომელთაგან ერთი ეკუთვნის თვით მოკლულის მამას, ხოლო მეორე ეკუთვნის სამიქაოს საზოგადოების ნამამასხლისარს, ე. ი. იმ პირს, რომელსაც ენბრა მთელი ბესარიონის ქონება და თვით ბესარიონიც.. ამ უკანასკნელმა პირმა კიდევაც აღიარა წინაშე ბოქაულისა, (თუმცაღა წინათ სულ უარზე იდგა), რომ ამ საღამოს, ე. ი. შაბათ საღამოს, ბესარიონი ყოფილა მის სახლში და სამხარიც უქმევიათ, ხოლო რა საქმელი უქმევიათ ეს ვერ თქვა, რადგან ამტკიცებს, მე სახლში არ ვიყავი! მერე საღვთო წესწესა — და საღ წვიდა, აღარ ვეცითო!.. ბოქაულმა დაატყვევა: ნამამასხლისარი და იმისი უფროსი ვაჟი,

ბესარიონის ოთხმოცე წლის მოხუცი მამა და ორი იმისი ვერი, რომელნიც წარუდგინა ხონის ნაწილის ბოქაულს. ხოლო უკანასკნელმა მეორე დღესვე განათავისუფლა ნამამასხლისარი, ალბათ. მოხუცი მამა ბესარიონისა მაშინვე დაავთმყოფდა საპატიმროში და, ღამის არის, სული დალიოს; მაგრამ მისი მიმხედვი ვინ არი! ჯერ საქმე არ მისულა ბ-ნ გამომძიებლის მოსიძის ხელში; და, როცა მივა, სრული იმედით უნდა ვიქონიოთ, რომ სიმართლის გამოსამყლავნებლათ არას დაზოგავს.

მელი.




ბრეითის დანგრევაზე

გულ-ჯავრიანათ ვიყავი, აღარა მქონდა ქვიფი, შეწუხებულმა გამოთქვი ლექსი ცალმაგი, ქვეითი: აღდგომის დღესა დიქცა ეს უბედური ბრეითი, აღვიღო-მამული ძირს ჩაძერა, აღარ დარჩარა ზეითი.

ნათესაობა აღარ გეწამს, მირონი ჭ აღარც ფიცი. ღმერთთა გარისხებულო, სხვა ცუდიც მოგველის, ვიცი. ზნე-ჩვეულება წავებინდა, აღარ არის სიტყვა მტკიცე, ქართველობა გადარჯულდა, აღარ უნდა მას ფიცი.

თვალთ ძილი აღარ მქვიდა, ღამე დეიწვე ბოღვო, ოღ-პალატი დამენგრა, ბეღელი დამიგორდაო. ერთ წაშში ყველა წამინდა სულს გარდა რაც კი მქონდაო, მიკვირს, თავი არ მოვიკალ, სიცოცხლე რათ მინდაო?

სრეითელი კარბელ პაქრაძე.



შვეიცის მრეწველთა კრება ქუთაისში.



მ დროს, როდესაც თბილისში ქართლ-კახეთის თავდაზნაურობა ორ გუნდათ გამსკდარა და ერმანეთს ღამის ტვინი ამოქაონ, ქუთაისს, ამ დასავლეთ საქართველოს სატატო ქალაქში, მოხდა ფრიალ შესანიშნავი კრება შვეიცის მრეწველთა. ამ კრებით აღინიშნა ახალი ხანა სამრეწველო მოძრაობისა. ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ ამ დიდ მრეწველობის საკეთილდღეო აღორძინებაში თანასწორი უფლებით იღებენ მონაწილეობას თვით ალაგობრივი მადნის მწარმოებელნი. აქ

ადგილი არა აქვს წოდებთა უპირატესობას. ამ კრებაში მშური კავშირით შეერთებულან თავადი, აზნაური, მოქალაქე და გლეხი. ისინი შეუერთებია ეკონომიურ ინტერესებს ერთ განუყოფელ ძმურ ჯგუფათ და პირისპირ უცნო ქვეყნის კაპიტალისა გამოსულან საბრძოლველათ. დასავლეთის საქართველოს მწარმოებელნი სამართლიანი მოსახრებით წინ დადგომიან უცხო ქვეყნის კაპიტალისტების წარმომადგენელთა და ეუბნებიან: უკაცრავათ ნუ ეიქნებოდეს და, რადგან ბუნების სიმდიდრე ჩვენი ქვეყნისა ჩვენსავე წარმოებაში უნდა დარჩესო, კეთილ იმებეთ და თქვენ თქვენს ტყაეში დატყეითო. ჩვენ დიდათ მოხარული ვართ, რომ კაპიტალი შემოვიტანათ, ისარგებლეთ კოდეს, მაგრამ რადგან თითო მადნეულის სიმდიდრის მებატონენი ჩვენ ვართ, ამისთვის ჩვენ არ გვსურს — გულხელ-დაკრფილი ვიციქვოდეთ, რომ თქვენმა კაპიტალმა სიმდიდრისგან გვეცვალოს, გავტარიბიოს და ხელი აგვაღებინოს ჩვენი ქვეყნის წარმოებაზეო. ჩვენც გინდა ვიწროვით და ჩვენი შესაფერი უფლება არ წაგვერთვას ჩვენი ქვეყნის სამარეველო წარმოებაშიო. აქ პირისპირ შეხედენ ერთმანეთ ექსპორტთა (უცხოეთში მადნის გამტანთა) წარმომადგენელნი და ალაგობრივი შავი ქვის მწარმოებელთა მეთაურნი, ესე იგი ქართველი მწარმოებლების მოთავენი. ერთი მხრით უცხო ვაჭარი ბ. მანოლაშვილი, ავგორიონის წარმომადგენელი, და მეორე მხრით ბ. ნი ქვანოიძე, თ. პ. წულუკიძე, ნ. ლოლობერიძე და სხვები ჩვენები თურმე ერთმანეთს შეედარენ არსებით სჯავში შესახებ ადგილობრივ მწარმოებელთა და უცხო ქვეყნის კაპიტალის წარმომადგენელთა უფლებისა.


ბ. ნი მანოლაშვილი ამტკიცებდა, რომ ყოველ წევრს ექსპორტის (შავი ქვის გამტანის) საზოგადოებისას თანასწორი უფლება უნდა ჰქონდესო თითოეულ მწარმოებელთან ერთათო.

ქვანოიძე ჩინებულათ გაარკვია ეს საგანი იმ მხრით, რომ შემთხვევით საქონლის მყიდველს ზე უცხო ქვეყანაში გამტანის ის უფლება არ უნდა მიენიჭოს, რაც მადნის პატრონს და მის მომუშავეს ეკუთვნისო. მთელი კრება სამართლიანათ დამოწმა ასეთ განმარტებას, მაგრამ ეს ამბავი უცხო ქვეყნის კაპიტალისტების წარმომადგენლებს არაფრათ იამათ, ვაწყურენ და დაადგეს კრების დარბაზი. კარგი იქნებოდა, რომ ადგილობრივ მწარმოებლებს მიეძახებიათ: უკაცრავათ, თავი ვერ ვაკარცინეთო.

კარგი წინადადებანი შეუტანიათ ბ. ნ. ლოლობერიძეს შესახებ ცნობების შეკრებისა შავი ქვის ყიდვა-გაყიდვაზე ვერაპის სახელმწიფოებში, თუ იქ რა მოთხოვნა იქნება, ფასები, ან როგორი ვაჭრული

გაერმოებანი არსებობენ შავი ქვისა, რომ საქართველოს მწარმოებლები განთავისუფლდენ შუამავალ კამიონერების კონაქებისაგან, როგორც არიან ავგორიონი, სოლელოკი, პანსე, გროტე და სხვები, მაინც მგზავნი. გ. ქვანოიძეს აღუძრავს კითხვა სამთი შკოლის დაარსებაზე ქუთაისის ლუბერნიამი. მოსწონი აზრია. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო მოხსენება წარუდგენია თ. პ. წულუკიძეს, თუ რა დაარკოლებათა შავი ქვის წარმოება და შავი ქვის მწარმოებელნი რკინის გზის გამგეობისაგან და მის უზომო მოთხოვნილებისაგან. ყოველ ნაბიჯზე რკინის გზის გამგეობა ცარცავს შავი ქვის მწარმოებელთ: თუ გადატანის ფასებს უდიდებს, აწონაშიც ახდევინებს მეტ ფულს. წონას დააკლდება, მაინც მწარმოებელმა უნდა ზღოს, გადაემეტება — მაინც ერთი სიტყვით ქათმის არ იყოს: „ქრობა დაკლეს თან წამაკლესო, ცხვარი დაკლეს, თან წამაკლესო“, სწორეთ ამ რიგით ექცევა რკინის გზის გამგეობის საწყალ შავი ქვის მწარმოებლებს. შავიქვის მწარმოებელთაგან რომ რკინის გზას შემოსავალი აქვს არც ერთ გადმოსატან საქონლიდან იმდენი შემოსავალი რკინის გზას არა აქვს; მაგრამ მაინც ყველა უსამართლოთ ექცევა შავიქვის მწარმოებლებს კუკუსისი აქეთა მხრის რკინის გზის გამგეობა. ამასთანავე არ უმართავს იმათ დასაწყობებს, პლატფორმებს და არ უტოებს სასწორებს. თ. პ. წულუკიძის მოხსენებას დიდი შთაბეჭდილება გამოუწვევია სხვობაზე შავიქვის მწარმოებელთა კრებას სხვათა შორის არა დიდი გადაწყვეტილება დაუდგენია: თხოვნა უფიქრის მთავრობასთან ფოთის ნავსაყუდელი გაადაროს იმისი აშენება დაამთავრონ და რკინის გზა გაეწონონ პირდაპირ ქუთაისში. ვინუცმათ იმითი, რომ ყოველსავე სამართლიანს შავიქვის მწარმოებელთ მოთხოვნილებას უმაღლესი მთავრობა საჩუქრით შეიწყნარებს და დააკმაყოფილებს.

გ. წერეთელი



გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი .

(ეუბლენი ცოცხლებს).

ენახე გვირგვინი სუფთოვო, ტურფათა შექმნა
 ზე ვაჭრი ექვს და შუამი ეკვალის გულა.
 საფლავზე იდე უსულაის სადილაქულოთ,
 სათოვების და სიყვარულის იყო ემდეგათ.
 ცოცხლებს მკვდრისათვის მიეტანათ იგი ჯოდლოთ.

თითქოს ჭსატავდა მის სიგოცნდის წარსულთა დროთა! ზვენი იგნობდენ სიგოცნდეს ში ამ მიგვაღებულს! მის უკვილესა მეფერათ ღვარძლი ეკვა გულს. მის სკუთის წილ წინ უძღვდა სიამართლის გმობა და მიღათ სიგოცნდეს მის იყო შური და მტრება.

აღმის ძენო, ვით ჩვეულისწით შირმოთნოვას, თვით მკვდრსაც ვა ცბაერებთ მიუღწენით ჭქას!

ველოშვილი.

დროებითი ურთიერთობა

(Временныя отношеиия)

მ სათაურით გაზ. „Надѣя“-ში (1896 წ. № 11) იყო დაბეჭდილი ერთი წერილი თავად აბაზისა. წერილის ავტორი ჩივის, თუ რაწიანი ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს საქმის წარმოება რუსეთის დამორბეულ მხარეებში, როგორც არის, მაგ., ჩვენი საქართველო. სხვა-და-სხვა კანცელარიებში საქმის დაუბოლოებლობას და ვახვიადებს საზღვარი არა აქვს და ამ მხრით არაერთი შედარება არ შეიძლება ჩვენი ქვეყნისა მკვიდრ რუსეთთან. ამის დასამტკიცებლათ თვ. აბაზს მოჰყავს მაგალითები საგლეზო დაწესებულებათა ისტორიიდან. დაუყოთმოთ სიტყვა თვით ავტორს.

1864 წ. თფილისის გუბერნიის გლეხებს გამოეცხადათ განათვისუფლება ბატონ-ყმურ მდგომარეობიდან და მაშინვე შეუდგენ იმ წესდების შედგენას, რომელსაც სისწორით უნდა განესახლერა ახალი დროებითა ურთიერთობა წინანდელ ყმებსა და მებატონეთა შორის. ამ წესდების ძალით განათვისუფლებულ იქმნა 58,000 გლეზა თფილისის გუბერნიასში (მ.შაბრევი სქესისა) მებატონეთაგან, რიცხვით 2,700 სული. საურთიერთო საქმეები უნდა მოეწყო ახლათ დაწესებულ მომრიგებელ შუამავალთა (шировые посредники) და გუბერნიის საგლეზო საქმეების გამგეობას, რომელთაც კანონმა, სხვათა შორის, დაავალა: რაც შეიძლება ჩქარა მოელოთ ბოლო ამ დროებითი დამოკიდებულებისთვის იმ საშუალებათა მეოხებით, რომლებიც თვით მართელობამ დადგინა. ახლა, როგორც ჩანს 31 წლის განმავლობაში 14,300 დროებით-გაღდებულ ყვამიდან მოხელეებს განუთავისუფლებიათ მხოლოთ 3,000 ყვამი. 1864 წლიდან დღემდის შეუდგენიათ და დაუმტკიცებიათ 550 გაყოყდვის (თვის დახსნის) ხელ-შეკრულება (выкуп-

ные договоры), რომელსათვის მართებლობა უსესნებია 800,000 მან. საჭიროა, რომ შედგეს და დამტკიცდეს კიდევ 3,400 ხელ-შეკრულება, თუ ამასთანავე განვილოთ 31 წლებში მამულებთა რიცხვი არ ვადღადა იჯავების დაყოფის გამო. თუ მივიღებთ, რომ ეს რიცხვი არ ვადიდებულა რ თუ მოხელეები იმავე ძალის და შრომის გამოიჩინენ, რაც აქამდის გამოიჩინეს, იმ შემთხვევაში ყველა ხელ-შეკრულებათა შედგენას მოუწდება კიდევ 161 წელიწადი. ამანართ მხოლოთ 2056 წელს (თითქმის ბელამის ცნობელ „ას წელს შემდეგ“) გველირებება გლეხების გამოყიდვა ადგილ-მამულით. აი, ნამდვილი ნიშუში მართლაც და ხანგრძლივი დროებითი დამოკიდებულებისა. ვანა ასეთი სიზანტე ბატონებში უნდა იყოს მიღებული, იქ სადაც მართებლობის დახმარებით ფულება მზით არის რ საჭიროა მხოლოთ გულწრფელი მედგარი მოქმედება? აქ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა დაუჯდა ხაზინას ამ 31 წლებში მომრიგებელ შუამავალთა რ გუბერნიის საგლეზო საქმეების ვამგეობის წევრების შენახვა. გუბერნიასში ითვლება 9 მომრ. შუამავალი. თითოეული იმათგანი რებულობს წლიურათ 2,000 მ., ყველანი—18,000, 31 წლის განმავლობაში 558,000 მ. საგლეზო პრისუსტების წევრები არის 4; თითოეულს წლიურათ ეძლევა 2,400 მ., ყველას-9,600 ხოლო 31 წლის განმავლობაში მიუღიათ 297,000 მ. კანცელიარისთვის ამავე 31 წლის განმავლობაში დახარჯულა 105,000 მ. ამანართ ხაზინას სულ ამ დროს განმავლობაში დაუხარჯავს 960,000 მ., და თავის დახსნის ხელ-შეკრულება კი შეუდგენიათ მხოლოთ 800,000 მანეთის... ამის დაგვართ, დაწარჩენი მამულების გამოსახსნელათ საჭირო იქნება, რომ ხაზინამ დახარჯოს მართა შუამავალებზე და წევრებზე 3,140,000 მ..

ამანორ მდგომარეობაშია დღეს გლეხების საქმე თფილისის გუბერნიასში; და თუ შემდეგშიაც საქმეს ამანართ მსვლელობა დაურჩა, იმ შემთხვევაში ადგილი შესაძლებელია, ქართლ-კახეთის გლეხებმა რამდენიმე საუკუნის განმავლობაშიაც ვერ დაიხსნან თავი იმ დროებითი დამოკიდებულებიდან, რამელზედაც ზევით გვეჩანდა ლაპარაკი. სულ სხვა სურათს წარმოვიდგენს ამ მხრივ იმერეთი, სადაც მართებლობის დაუნმარებლათ, თვით თ. აბაზის სიტყვით-ვე, გლეხებს სანახეროთ გამოუყიდათ მამულები 5,000,000 მ. რას მიეწერება ეს სულ სხვა-ნაირი მიმდინარეობა საგლეზო საქმისა იმერეთში? თ. აბაზი ამის მხეზს ხედავს მხოლოთ თფილისის გუბერნიის მოხელეთა დაუდევრობაში. ჩვენთვის, რასაკვირველია, საგლეზო დაწესებულებათა მოხელეების დაუდევრობა და უბატონური მოქმედება, ბიურკრატიულ

თითქმის ქსატყუად მის სიგოცნადის წახსულთა დროთა!
 ბუნნი იგნობდენ სიგოცნადში ამ მიგვალეულებს!
 მის ყვაავადის მაკერათ დავრბოდა კვდა გუფს.
 მის საკეთის წილ წინ უძღვოდა სამართლის გმობას
 და მიღათ სიგოცნადე მისი იყო შუნი და მტრდას.

აღმის ბენო, ვით ჩეკუფსართ ნაწროთხოვობას,
 თვით შეკდარსდა ვაა ცნაურობით მიუძღვნით ჭკას!

ეკლო შვილი.

დროებითი თრთიერება

(Временныя отношеия)

მ სათურით გაზ. „Неделя“-ში (1896 წ. № 11) იყო დაბეჭდილი ერთი წერილი თავად აბხაზისა. წერილის ავტორი ჩივის, თუ ჩანაირი ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს საქმის წარმოება რუსეთის დამორბეულ მხარეებში, როგორც არის, მაგ., ჩვენი საქართველო. სხვა-და-სხვა კანცელარებში საქმის დაუბოლოებლობას და ვახვიადვას საზღვარი არა აქვსო და ამ მხრით არაერთი შედარება არ შეიძლება ჩვენი ქვეყნისა მკვიდრ რუსეთთანო. ამის დასამტკიცებლათ თავ. აბხაზს მოყავს მაგალითები საკლებო დაწესებულებათა ისტორიიდან. დაუთმობთ სიტყვა თვით ავტორს.

1864 წ. თფილისის გუბერნიის გლეხებს გამოცხადათ განთავისუფლება ბატონ-ყმურ მდგომარეობიდან და მაშინვე შეუდგენ იმ წესდების შედგენას, რომელსაც სისწორით უნდა განესაზღვრა ახალი დროებითი ურთიერთობა წინანდელ ყმებსა და მებატონეთა შორის. ამ წესდების ძალით განთავისუფლებულ იქმნა 58,000 გლეხი თფილისის გუბერნიისაში (მაშობრივი სქესისა) მებატონეთაგან, რიცხვით 2,700 სული. საურთიერთო საქმეები უნდა მოეწყო ახლათ დაწესებულ მომრიგებელ შუამავალთა (жировые посредники) და გუბერნიის საკლებო საქმეების გამგეობას, რომელთაც კანონმა, სხვათა შორის, დაავალა: რაც შეიძლება ჭკარა მოელოთ ბოლო ამ დროებითი დამოკიდებულებისთვის იმ საშუალებათა მეოხებით, რომლებიც თვით მართებლობამ დაადგინა. ახლა, როგორც ჩანს 31 წლის განმავლობაში 14,300 დროებით-გლეხეულ კეამლიდან მოხლეგებს განუთავისუფლებიან მხოლოთ 3,000 კეამლი. 1864 წლიდან დღემდის შეუდგენიან და დაუმტკიცებიათ 550 კეამოვადის (თავის დახსნის) ხელ-შეკრულება (выкуп-

ные договоры), რომლისათვის მართებლობას უსესებია 800,000 მან. საქორაო, რომ შედგეს და დამტკიცდეს კიდევ 3,400 ხელ-შეკრულება, თუ ამასთანავე განვილით 31 წლებში მამოკლებთა რიცხვი არ ვაღიდაოვებების დაკოფის გამო. თუ მივიღებთ, რომ ეს რიცხვი არ ვაღიდავებულა ზე თუ მოხელეები იმავე ძალის და შრომის გამოიჩინენ, რაც აქამდის გამოიჩინეს, იმ შემთხვევაში ყველა ხელ-შეკრულებათა შედგენას მოუწდება კიდევ 161 წელიწადი. ამანორათ მხოლოთ 2056 წელს (თითქმის ბელამის ცნობით, ეს წელს შემდეგ) გველისება გლეხების გამოკიდევა ადგილ-მამოვლი. აი, ნამდვილი ნიმუში მართლაც და ხანგრძლივი დროებითი დამოკიდებულებისა. ვანა ასეთი სიხანგრძლივებაში უნდა იყოს მიღებული, იქ სადაც მართებლობის დახმარებით ფულება მზათ არის ზე საქორაო მხოლოთ გულწრფელი მედგარი მოქმედება? აქ საქორაო ვიცოდეთ, თუ რა დაუჯდა ხაზინას ამ 31 წლებში მომრიგებელ შუამავალთა ზე გუბერნიის საკლებო საქმეების გამგეობის წევრების შენახვა. გუბერნიისაში ითვლება 9 მომრ. შუამავალი. თითოეული იმათგანი ღებულობს წლიურათ 2,000 მ., ყველანი—18,000, 31 წლის განმავლობაში 558,000 მ. საკლებო პრისუსტეის წევრები არის 4; თითოეულს წლიურათ ეძლევა 2,400 მ., ყველას—9,600 ხოლო 31 წლის განმავლობაში მიუღიათ 297,000 მ. კანცელარიისთვის ამავე 31 წლის განმავლობაში დახარჯულა 105,000 მ. ამანორათ ხაზინას სულ ამ დროს განმავლობაში დაუხარჯავს 960,000 მ., და თავის დახსნის ხელ-შეკრულება კი შეუდგენიან მხოლოთ 800,000 მანეთის... ამის დაგვრათ, დანარჩენი მამულების გამოასხსნელათ საქორაო იქნება, რომ ხაზინამ დახარჯოს მარტო შუამავალებზე და წევრებზე 3,140,000 მ..

ამანორ მდგომარეობაშია დღეს გლეხების საქმე თფილისის გუბერნიისაში; და თუ შემიძღვესოც საქმეს ამანორი მსგეულობა დაურჩა; იმ შემთხვევაში ადგილი შესაძლებელია, ქართლ-კახეთის გლეხებმა რომ დენივე საკუფის განმავლობაშიაც ვერ დაიხსნან თავი იმ დროებითი დამოკიდებულებიდან, რომელზედაც ზევით გვექონდა ლაპარაკი. სულ სხვა სურათს წარმოვიდგენს ამ მხრივ იმერეთი, სადაც მართებლობის დაუხმარებლათ, თვით თ. აბხაზის სიტყვითვე, გლეხებს სანახევროთ გამოუყიდიან მამულები 5,000,000 მ. რას მიწვევრება ეს სულ სხვა-ნაირი მიმდინარეობა საკლებო საქმისა იმერეთში? თ. აბხაზი ამის მზეზს ხედავს მხოლოთ თფილისის გუბერნიის მოხელეთა დაუდევრობაში. ჩვენთვის, რასაკვირველია, საკლებო დაწესებულებათა მოხელეების დაუდევრობა და უსატურო მოქმედება, ბიურკრატული

რუტინასთან შეერთებული, ახალი ამბავი არ არის, რასაც თვით წესდებაც ხელს უწყობს. მაგრამ, მართა ამას არ მიეწერება საგლეხო საქმის შეფერხება საზოგადოთ, და თფილისის გუბერნიაში კერძოთ, ამიტომ არ შეიძლება არ მივიღოთ მხედველობაში შემდეგი ვარაუდებიანი, როგორც ამ საქმის დამატკობლებელი მიზეზები, რომლებიც ვაზ. „ახალ მიმოხილვამ“ (იხ. № 4204) დაასახელა თ. აბაზის ხსენე-




ბულ წერილის გამო: 1) გამოყიდა შესაძლებელია მხოლოდ მებატონეს ნებათაღებობით, რომელიც ყოველთვის ღიღ ფას თხოვლობს; 2) გლენს შეუძლია მიცეს მხოლოდ ის ფასი, რასაც მას ხაზინა ასესხებს; ეს სესხი კი არ აღემატება 60 მანეთს ლესტინაში, და ევნახებში სრულებით არ აძლევს სესხს ხაზინა; 3) გამოყიდა ჯდება ძლიერ ძვირათ. თეით თ. ახახს 4,000 მანეთიანი მამულის გაყიდა დაჯდომია 900 მ.; 4) უმაღლესი მთავრობა დღემდის ცოტა ყურადღებას აქცევდა საკლებზე საქმეს, რადგანაც დღემდის ის სხვა საქმეებში იყო გართული.

ყოველ შემთხვევაში, დროებითი ურთიერთობიდან განთავისუფლება არის ძლიერ რთული საქმე; აქ ერთდებან სხვა-და-სხვა პირობები, ასე რომ დასახლებულ მიწებს ღირდა, აქ კიდევ მძლავრით მოქმედობენ სხვა ფაქტორებიც. საინტერესოა ამ შემთხვევაში იმერეთის და ამერეთის ერთმანეთთან შედარება. იმერეთში ახალი ცხოვრების პირობებმა უფრო წინ წაადგეს ფეხი, ვინემ ქართლ-კახეთში, და ან რომელსამე კავკასიის სხვა ადგილებში. ამიტომაც, ღრუბლიანი ურთიერთობა, როგორც ძველი წეს-წესობების გამოხატულება მოელოდა, იქ ყველაზე უფრო აღზე უნდა გაქარწყლებული, რასაც აშკარათ გეომეტრიკებს ჩვენ დღევანდელი ცხოვრება. ამისათვის ჩვენ სწორეთ არ გვესმის თ. ახახს განრისხება მომზადებულ შუამდგომელთა წინააღმდეგ; თუმცა კი არააღეს მათ არ გამოეყენებოდნენ ამ საქმეში. ჩვენ კი გვეონია მაინც, რომ თ. ახახს ჯერძო უკმაყოფილება უფრო აწუხებდა, როცა საკლებზე საქმეზე ჩამოაგდო დალაპაკი, ვინემ საზოგადო საქმე: ეს მისი წერილიდან აშკარათ ჩანს. ამავე საგანს ეხებოდა ახს წინეთ მეორე ადგილობრივი გახეთი (იხ. „Кавказъ“-ი, 1892 წ. №№ 76 და 78), რომელიც უფრო ღრმად შეუძრება ამ საქმეს და ქართლ-კახეთის გლენობის ჩამორჩენის მიზეზს ეძებდა პირდაპირ კონსოლიდირებულ მოკლებში. მოკლები რომ ეთქვათ, ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ფული უფრო ბლომათ დატრიალდა იმერეთში, ვინემ ამერეთში და, აი, სწორეთ აქ უნდა ეძებოთ უკანასკნელი მიზეზი იმ გარემოებისა, რომ თფილისის გუბერნიაში 1891 წლამდის გლენობის მართებლობის დაუხმარებლათ დაუხსნია მთელი მისი წილის (წადგლის) მხოლოდ 0,55% თუ ექონიებთ სახეში ამასთანავე იმას, რომ დროებით-დადებული გლენი მთელი თავის შემოსავლის მეოთხედს ბატონს აძლევს ღალათ, ჩვენ თვალ წინ წარმოგვიდგება თფილისის გლენკაპობის დაჩაგრული მდგომარეობა. ყოველ შემთხვევაში აუცილებელ საპირობებს შეადგენს დღეს ჩვენთვის საკლებზე კითხვის გამოსარკვევით სტატისტიკო-ეკონომიური გამო-

კვლევა, როგორც თფილისის, ისე ქუთაისის გუბერნიისა. ამ საინტერესო კათხვას ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით.

—ძე.



ბ ა შ ი — ა ჩ უ ტ .*)

განშობა ვადასული იყო. ტახტზე მხარ-თეძოზე წამოწოლილი ფეიქარ-ხანი კრიალოსანს ათამაშებდა და მალ-მალ კარებისკენ იხედებოდა. გაიჭრიკინა კარმა, შემოაჰყო თავი ტერტერას ქერივმა; ფრთხილათ შემოვიდა, დაბლათ თაყვანი სცა ხანს და გაჩერდა.

—ოჰ! შენა ხარ თიხალა?—უთხრა ხანმა—სად არის?

—მარტო ვიხედილი! მიუგო მოწყენით ქერივმა.

—მარტო რაში მინდებხარ?—მიამახა ცოტა გულმოსულათ და წამოაჯდა—ეგები, საჩუქარი ეცოტა?

—რბ ბაძენება ჩემო ხელმწიფე! მხოლოდ ევლარ მიუსწარ. ექვი აუღიათ კირის უფლებს და გადაუხიხნავთ.

—როგორ თუ გადაუხიხნავთ?

—სადაც კი გამოჩნდება ღამაში ქალი, სულ მონასტრებში მიჰყავთ, ვითომ და მოლოზნებათ და იქ კი მალავენ, რომ ან თქვენ დიდებულებას ან სხვა ვინემ გამოჩენილ ხორციელს ხელში არ ჩაუფარდეს. აი ბატონო! რაღა შორს წაივდეთ, შუა-მთის მონასტერი ღამაშებით არის გატენილი. შარშან რომ დიდებული ყვენი საძღვნო თორმეტი ქალი მოსტაცეს ქართლის მეფეს, ისინიც იქ არიან თავ შეფარებულნი.

—იმათ მოსტაცეს ხომ ბაში-ბაქუს აბრალებდენ?

—სულაც ეგ მინდოდა მოგხსენებია, ჩემო ხელმწიფე! იმ მონასტრში ბეჭიო რამ საწინააღმდეგო ხდება თქვენი: რომ ისინი არ უწყობდენ ხელს, გადავარდნილებს, განა ამდენ ხანს ისინი თავს შეინახავდენ უღაბურ ტყეში? მაგრამ ნათქვამია, უცხებ შიგნიდან გატყუდება, კარის კაცები აფარებენ ხელს.

—ვიზე გაქვს ექვი? ჰკითხა სიჩქარით აღელვებული ხანმა.

—ქართველები არც ერთი სანდო არ არიან და ყველაზე უფრო მეტათ ჩოლავაშვილი.

—გაქვს რამე საბუთა?

*) ის. „ქველი“ № 18.

—განა ის ისეთი კაცია, რომ სასაბუთოთ დი-
ქიროს საქმე? არა! მაგრამ გული კი შეუბნება და
ხან-და-ხან წინააქრძნობაც საბუთია.

—შენ ხაში-აჩუჭებდაც კი გეუბნებოდა გული,
მაგრამ ტუთილი გამოდგა.

—იქაც მართალი ვახდით, ჩემო ხელმწიფე,
მაგრამ, უმეტელია, გაქვთქვებს, თუ არა ვინ რას ერ-
ჩილა ჩემ საცოდავ სახლს?

—მიძქარავ! მეღა აბლუ-შაილის მეტმა არავინ
იცოდა. შენ შენი სახლ-კარის გადაწევა გაწერებს და
ალარაის ზოგავს!.. ქვეყანას ცილსა სწამებ; ჩოლაყა-
შვილი დილიდან საღამომდე გვერდში მიდგას, ჩვენ
ერთგულეობაში ათენ-ალამებს და შენ კი ორგულეო-
ბასა სწამებ! თუ მაგრე მართალია მონასტრის საქმეც,
ვაი შენ ტყავს!

—არა, ჩემო ხელმწიფე, მე თქვენი ერთგულე-
ბა მამედინებს, თუ არა რა მრჯის მაგისტანა საქმე-
ებში გარეყას! მიუგო—ცახცახით დედა-ბერმა—მო-
ნასტრის შესახებ კი რაც მოგახსენეთ, ის სულ მარ-
თალია და თუ მტყუანი გამოვლდე, თავი გამავდები-
ნეთ.

—შენ როგორღა ვაიგე?

—კოჭი ბროლამ ვადმოძკა.

—ვინა?!

—კოჭი ბროლამ. აქ ერთი დერკიცის ცალი
ვახლავთ, ჩემი მამიდაშვილი, სილამაზით განთქმუ-
ლი.. თქვენ სად მოვაგონდებთ, თორემ აქაც კი
გხლდებივართ ერთათ.. ის გადავიღე ერთ ვინმე
ახალგაზდას, რომელზედაც ეჭვი მქონდა აღებული
და მისი გამოუტყვია.

ამის გამგონი ხანი თოვ ნაკრავივით წამოვარდა
ზეზე და ბრაზ მოსულმა დაიღრიალა: „ეი, აბლუ-შა-
ილ! აბლუ-შაილო!“ შემინებული დედაბერი იქვე
კუთხეში მიიკრუნჩხა. ყვირილზე ერთი შუახნის მხე-
დარი შამოვარდა და მოახსენა: აბლუ-შაილ შეუძ-
ლოთ ვახლავს და დღეს მის მოადგილეთ მე ვახლავ-
ვარო.

—კეთილი, სულ ერთია —ათრთოლებული ხმით
უბძანა ხანმა, —წადი ესლავ ცხენოსანი ჯარი შე-
მოარტყი შუამთის მონასტერს და ააბრეთ! აიკე-
ლით! ნურავის დაზოგეთ! ნურც დიდს, ნურც პა-
ტრას, ნურც ბებერს და ნურც ყმაწილს! ჯერ ყვე-
ლა გააუბატურეთ იქვე საჯაროთი.. ნამუსი ახადეთ
და მერე ნაკურ ნაკურაბ აქციეთ ყველა! მხოლოთ
რამდენიმე მათგანი, რომელიც სხვებზე ულამაზესი
გამოადგეს აქ წამომავართ ხელმწიფეობათ. ნადვლი
ჯარმა გაიყოს. გასწი! ნულარ ავიანებ.

მხედარი აჩქარებით გამოვიდა—ბრძანების ასა-
სრულეבלათ შემინებული ბებერი უკან გაჰყვა და

ხანმა კბილების ცახცახით წილაპარაკა, ..თავისთვის
„მე გაყურებინებთ თუ როგორ უნდა ლალტი და
მოტყუება!“..

გათენებისას, ცისკრის დროზე, მოულოდნე-
ლათ, ერთი საოცარი ტირილისა და ვოდების
ხმა გაისმა შუამთაში. თათრები დაერივნენ უწერ-
დელკაცებს უღანბოში და მუსრი გადინეს, ზოგი ვა-
ლენაზე გადაცივნდა, ზოგი კლდებზე გადავჭრა, რომ
თავი საბილწავათ არ მიეცათ, ზოგმა თვითონ მოი-
კლა ნამუს ახდელი თავი და სხვებს უწყალოთ გამ-
ძვინებელი მტრები ჰკეპავდნენ. ამ დროს ჯარის უწყ-
როსმა გამოათრია გარეთ ერთი ახალგაზდა, სრულიათ
—გაწყვილ-გაკლეჯილი ქალი და გულ შეწყუბუ-
ლი დასვა ცახცე ქვეშ, პტყელ ქვაზე.

—ნუ გეშინია! გული მოიბრუნე შენ არავინ
რას გერჩის.

—რალას ავიანებ? ბარემ მომკალ და ვათაყ
სადაც ამდენი უზანკო სული ამოვიწყვეტიათ, მე რა-
ღა დასატოვებელი ვარ? სასო-წარცვეთილებით შე-
ტრია ქალმა.

—შენ სილამაზეს უმადლოდ! იმან გადაგზო-
ნა, ახლა უნდა წავიყვანო, შენი თავი, დიდებულ
ხანს მიუძღვნა. ვინ იცის, რა ზედი მოგელის? ალ-
ლათ შესაძლებელია, შენი სილამაზის პატრონმა, მს
ბრწყინვალე შაჰის ცოლმბასაც კი გამოჰყრა ხელს.

ამ სიტყვებზე შეკრთა ქალი და კანკალი აუფრ-
და. თათარმა ეს სიხარულის ნიშნით მიიღო და სო-
კილით უთხრა: თუ, ვინცობაა, ჩემი სიტყვებო გე-
მართლდეს, ნუ დაგვიწყვდებო. ქალმა ძალ დაბ-
ნებით, ვითომ გული მოიბრუნა და დამშვიდებით
უთხრა:

—ჩემო კარგო, ეგ ახდბა თუ არა, არავინ იცის
მაგრამ დღეს რომ შენ სიკვდილს გადამარჩინე, მეც
მინდა ესლავ, სამაგიერო გადავიხილა! ისეთს ჯადოს
მოვცემ, რომ ვერც ტყვია მოგეკაროს და ვერც
რკინეულმა გაუჭრას.—თათარმა ჯერ გაოცებით შე-
ხედა და მერე დიმილით უთხრა:

—თუ მართლა მაგისტანა წამალი იცით ქართ-
ლებმა, რატომ არ იკეთებთ? თქვენმა თავმა შე-
გკრათ?

—ვინ ვითხრათ, რომ არ ვიკეთებთ? მაშ თუ არ
ჯადოს წყალობით, რა გავცადლებებდა აქამდე.
დენ ვაი უშეულებელში? მთელი ქვეყნის ხალხი, უ-
სოვარ დროიდან, მარს გვეხვევა მტრათ, ამ ერთ მუ-
ქა ხალხს. ჩვენ, ვადლობა ღმერთს, ეთგურებთ და სო-
დაც ასი-და-ორასი მტრები წყდება, იქ თითო ორი-
ლა ქართველი თუ კვდება, მეტი არა და ისიც მის-
თანებში რომელზედაც ჯადო აღარა უკრის. შენ
გგონია, რომ დღეს ჩემმა სილამაზემ გადამარჩინებ

არა! მხოლოდ ამ ჯაღდომ დამიხსნა! ამოიღო უბი-
 დან ტყვეში გამოკრული—ნაწილებიანი ხატი, რომე-
 ლსაც ყოველთვის თან ატარებდა და უჩვენდა. თათარ-
 მა შეხედა და ერთი ბიჯი უკან გადადგა, ცოტა სი-
 ჩუმის შემდეგ ჰკითხა: სხეებზე ხომ ჰქონდათ ეგ ჯა-
 დო, რალა მარტო შენზე გაქრა?—უბრალო შემთხვე-
 ვის ბრალია; მე უკანაშთი დამეძინა, სხეები კი ვაზ-
 შამ-ნაჭამი იყვენ, და ამ ჯაღდოს მხოლოდ მაშინა
 აქს ძალა, როცა კაცი მარხულია. თათარმა იტყვიუ-
 ლათ გადააქნია თავი.

—არა გჯერა?—დაბეჯითებით ჰკითხა ქალმა—მამ
 ვცადოთ, მაგანზე ადგილი რალა არის; აი ჩამოვიღე
 გულზე, ეგ შენი ხმალი მომეცო, მე დაკრამ რაც
 ძალი და ღონე მაქვს და ნახამ, თუ ან კანი გავიჭ-
 რას!. თათარმა გაიცინა.

—ისმეც კარგი დავემართოს, მაგრამ უცაბედათ
 რომ გაჭრას, მერე რალა ექნათ? ჰმ!.. მით უფრო,
 რომ წუხელი კარგა ლაზთიანა შედევეცი ვაზშაშს,
 შენი მოსატყუებელი კბილი, დიდი ხანია, მოიციტა-
 ლე.

—შენა გგონია, რომ გატყუებ? მაგას სიფრთხილე
 გალაპარაკებს; აბა ჩემზე შენიჯე: რაც ძალი და ღო-
 ნე გაქვს, ნუ დამოგავე და ნახამ, თუ კაბისა და
 ჰერანგის მეტი გამოიტრა რამე!—გაღწევა გულამბა
 ქეზე და გულზე დაიდვა ხატი; თათარმა გამოაცდე-
 დათ, თუ მართლა არ შეშინდესო, ამოიღო ხმალი
 და დაუქნია, მაგრამ ჰაერშივე შეაჩერა. ქალი არ ვან-
 ძრეულა და დიმილით უთხრა:

—არ გითხარი, რომ ეგრას დამაკლვს თქო? თა-
 თარი დარწმუნდა, რომ ეს აღარ ხუმრობსო! ჯაღდოს
 ხელში ჩაგდების სურვილმა წაიტყუა, მართლა მათ-
 ქნა ხმალი რაც ძალი და ღონე ჰქონდა და შუა
 გაწყვეტილი ქალი ნახევარი იქით გადავირდა და ნა-
 ხევარი აქეთ. შეკრთა მოტყუებული მხედარი, შემო-
 იკრა თავში ხელი. „გამაბრეყვა ამ უჩედურმაო!“
 გადააქნია მწუხარებით თავი აქეთ-იქით, ერთი კი-
 დეე დახედა დარცხენით, ჩაავა ხმალი და გაშორდა.
 ამავე ღროს იბრაილა და ავირდა საოცარი ალი აონ-
 რებულ მონასტერს.

გაიგეს თუ არა ეს სამწუხარო ამბავი, თელავ-
 ში, ახლო-მახლო სოფლები აღელვდნენ, მაგრამ მწუ-
 ხარების გამოცხადებას როგორ გაბედადენ? არ წყე-
 ნიათ მხოლოდ ქართველების მტრებად და სასიამოე-
 ნოთ; მიიღეს ყველა თათრებმაც ვარდა ერთისა, რო-
 მელიმაც; გაგონების უმაღლე, გრძობა-გონება დაბ-
 ნეულმა გააქნა ბედღური შუა მთისაკენ. ეს ერთი
 იყო აბლუ-შაილი. რომ მივიდა, მონასტერი გადამ-
 წვარი დახედა და სიჩუმე—აზარაობას მოეცევა არე-
 ვარი. დღონდა და პირველათ გაიგლო გულში სა-

ლაეთი; ნუ თუ, ღმერთო, ამისთანა მსხვერპლი შენ-
 თვის მართლა საქირა იყოს? ან რა ვეცაკაბაა უთა-
 რალი, უშეშო, სუსტი დედაკაცებისა და ბაღლების
 ტელეტა? ქრისტიანები ამგვარს არას ჩადიან!. თვით
 ყაზლებიც კი ერთდებიან ამ საქმეს. ამ ორ სამ წე-
 ლიწადში, ვინ იცის რამდენი ოჯახი აიკლეს, რო-
 გორც თათრების, ისე თვით ქართველებისაც, მაგ-
 რამ, აბა თუ ერთი საღმე უკადრებიათ, უიარაღო დე-
 დაკაცებისა და ბავშვების ხელის შეხება?—ამ ძრახვით
 გაიარა დიდი ეზო და განაიკდეს მიაღვა ცახტეს; იქ
 უტებათ შეჩერდა, დახედა ვაჩხილ ქალს, ერთი საო-
 ცნათ დაიფიქრა, წაზარბავდა და იქვე ცახტეს რომ
 არ მიუფიქროდა, წაიქცეულა. დიდხანს იყო ისე ხმა
 ამოაუღებლათ; ბოლოს შეიძრა, დააშტერდა მკედარს
 და სასოწარკვეთილებით თქვა:

რა დაკიშავე, ღმერთო, რომ ცხადი სიზმრათ
 ვადამიქციე? აბას ევლოდი? გაქრა წაყილა! ჩამიარა
 ოცნებამ, მაგრამ რაც ერთხელეე გულზე ისე ნათ-
 ლათ დამეჭლა, იმას ევლარ ამოშლის-რა!.. თუ ცო-
 ცხადი დაეკარე, მკედარი ხომ მაინც ჩემიაო. დაე-
 ლო ხელი ორთა გაჭრილს, მიიკრა გულზე და წაი-
 ლო იქითენე, საიდანაც ამ რამოდენიმე ხანის წი-
 ნით ისე ნეტარებით მოჰქონდა, მაგრამ სულ სხვა-
 და-სხვა კი იყო მაშინ და ახლა: მაშინ ნეტარებით
 გაბრუებულს, მალლით ცა ეხსენებოდა და ახლა-კი,
 უბედურებით სულ-შეხუთულს დედა მიწა უსცდებო-
 დ! მოატანა წყაროსთან და დაღა. დღდანა დაძკუ-
 რებდა თავზე და ცრემლები ღამა-ღამით ეცემოდენ
 წვერ-ულეაშზე. იმ დღესეე გაჭრა საფლავი წყაროს-
 თან, მიაზარა საიდუმლოთ თავის დაუფიწყარი განძი
 სამარეს და საფლავის პირი მიასწორა-მოსაწორა. იმ
 დღიდან შშირათ, ძალიან შშირათ, ამოდიოდა ხოლმე
 და ძვირთას სამარესთან ღამეს ათედა.

აკავი.

(შემდეგი აქნება)



სახუმარო გასართობი

გოჯ. (გაოცებით) ოჰ. ბიიი...ქოს? ივანიკა ხარ?

ივ. (დიმილით) არა! ივანიკას ძმის ძმა ვარ!

გოჯ. ივანიკას ძმის ძმა?!

ივ. კი! ივანიკას ძმის მამის შვილი.

გოჯ. მართლა? შორეული ყოფილხარ, მაგრამ ძალიან კი გვეზარ ივანიკას.. აი..



ოვ. ისე, რაეარც გოჯასპირის ძმის ძმას შენ...
გოჯ. (გაქეირებებით) შენ რას იცნობ გოჯასპირის ძმის ძმას და ან ვინ ოხერია?—

ოვ. გოჯასპირის ძმის მამის შეილია,
გოჯ. კაცო, ეი, რას მიედებ-მოედებ? გოჯასპირი ხომ მე ვარ?!

ოვ. ჰო, და... თუ შენ გოჯასპირი ხარ, მე იეანეკობას რა დამიშლის?

გოჯ. ფიე! იფანიკა ხარ? არა ხუმრობ? მერე და ცოცხალი ხარ, კაცო?...

ოვ. თქვენში თუ დაპარაკობენ მკვდრებით, თვარა ჩვენში ჯერ არც გავიხილა.

გოჯ. არა, კაცო!.. აკი, იმერეთი წყალმა წაილო? შენ როგორ გადარჩი?

ოვ. ცურვა ვიცოდი და კიდეს ვავედი.

გოჯ. ალაგ-ალაგ ქვესკნელშიაც ჩაძვრა?!

ოვ. ბტომა ვიცი და ამოემქერი.

გოჯ. (თან-და-თან გაოცებით) თოვლმაც რომ დამარხა?

ოვ. თხილამურები გვეყავით და დავდიოდი.

გოჯ. ვხებიც რომ აღარსად იყო?

ოვ. მთა-მთა გადმოვიარე!.. კორტოხ-კორტოხ ვადმოვედი.

გოჯ. ამბობენ, ძიელ დახარალა იმერეთი ზამთარშია?

ოვ. ვაგეფხიკოს მტერი, ის გეფხიკია!..

გოჯ. ჭინახლის საძებრათ ხომ არ ჩამოსულხარ?

ოვ. (გულმოსული) რაეა თუ საძებრათ? სამოწყალოსავით შენ გაგიშვებია ხელი, თვარა მე ხმალზე მიდევს!..

გოჯ. მერე რაო, რა ვიძევს?
ოვ. ის, რომ ღმერთმა ნურა ვამიჭიროვს რა, და თუ ვინმემ გამოიჭრა, კაი... კისი ვშვლებ!..

გოჯ. ვა! რას ცხარობ კაცო?.. ოპოზიტია ხომ არ ჩაწყვილხარ?

ოვ. შენ კი პრავლენიაში ხარ, რომ დინჯათ რა შამ? ეჰ, ერთი თავი დაანებე!.. მითხარი, შენ რაღათ ჩამოსულხარ სოფლიდან?

გოჯ. ვინ ოხერი თავის ნებით ჩამოსულა,—ძალა დაგვატანეს. სულ დაგვეჯანდრეს და ისე ჩამოგვიყვანეს.

ოვ. დაგჯანდრეს? რა სარეცხი შენ ხარ რომ სავანდღიერო ვამხდარხარ?

გოჯ. რა გიჭირთო!.. ვახაფხულია, გამოისიერნეთ და ბალებში დრო გაატარეთო!

ოვ. რა მერცხალი შენა ხარ, რომ ვახაფხულს მოყვები და რა ბუღბუღლი, რომ ბალებს ეტანები?

გოჯ. გეგვონა, მაგრამ თავგატეხილ ინდაურსავით ვეხტებებით ქუჩა-ქუჩა... ბალები სხვებს დარჩენიათ... მინდვრები უცხოებს წაუღიათ და ჩვენ კი მართა მტყვრიანი ქუჩა დაგვრჩა ხელში; დადღივართ და აქეთ-იქით ეხვევებით, რომ მენაზირის ვირებმა არ გაგვიტანოს.

ოვ. მართალს ამბობ, გოჯასპარ, მე და ზემბა ღმერთმა!.. დრო გადაბრუნდა... გამოიცვალა! მაგრამ ღმერთი მოწყალეა, უსამართლოთ ხელი არ მოიჭრება? თუ მართალია ნეკასე ვერ მოკვამენ...

გოჯ. შენმა მზემ, ნეკს კი არა შუთა თითსაც ზღ მიაცილებენ!.. ძიელ ილესენ კბილებს... ძიელ!..

ოვ. საღეს ჩაღს ვინ ატრიალებს?

გოჯ. ვილატ თქვენებურია!—აქ შემოხიზნულა... დიდი ვინმე თურმე ყოფილა!—

ოვ. (დაფიქრება) ვინ უნდა იყოს ნეტავი?.. ხელ-მარჯვე?..

გოჯ. ჰო. კარგათ ხმარობს, რაცა დაბლა ვინ ბისკენ უჭირავს!.. მაღლა, ზეცისკენ რომ აიღოს, ის კი არ შეუძლიან!

ოვ. რატომ?

გოჯ. რა ვიცი. ამბობენ ნიკრისის ქარი უღვაპო ი ხელში.

ოვ. აა! მიხეხი!.. ახლა ვიცი ვიხედავ ამბობ!.. ის ჩენი პროკოფ ხოტოტინი იქნება... ფხუუქ!..

გოჯ. ვა! რას იცინი!.. პროკოფ ხოტოტინი ვინ ოხერია?

ოვ. არ იცი?

გოჯ. კოკორ პეტროვიჩი კი გამოგონია, მაგრამ მე ვილატ ხოტოტინია არ გამოგონია.

ოვ. ეე არის რალა... თქვენ რომ მოგწონებით.

გოჯ. ნიკრისის ქარი რომა აქეს?



ი. ნიკრისის კი არა „ნიკრიჩი“.

გოჯ. ნიკრიჩიო?

ი. პო. ერთხელ თურმე ჩხუბი მოუხდა მოყე-
რებში და ყვირილა დევნო. მოყურებმაც ეიღეს კაი
კეტი და ზღრუხეს ხელზე: „ნიკრიჩიო!“ მკლავი
ჩამოადებოც, და მასუკან გაუდგა ის ქარი და ნიკ-
რიჩის ქარიც მიტომ დეკრქვა.—

გოჯ. ბიჭოს? ე რა კაი ამბავი ყოფილა?! რა-
ტომ ი ჩემმა შეიღმა არა მითხარა მადის? მისი
მეგობარია და ეცოდინებოდა: სულ ერთათ არიან.

ი. რავე, შეილი მიგობარება მისთვის?

გოჯ. აბა, რა მიბარება უნდა ჩემი შეილი
იმზე უფრო ნასწავლიც არი. უმაღლესს ხარისხზე
ეკზამენი დაუტერია.

ი. სად?

გოჯ. სად და დანიში?

ი. და...ნია...ში?!

გოჯ. მაში... ნიეტარლობაზე!.. ისეთი დიპლომი
უჭირავს ხელში, რომ წინ ვერა დაუდგება რა!.. კარი
ღია აქვს და გზა გახსნილი!..

ი. (დაცინებით) კაი დაემართოს!.. მომილო-
ცაეს! მარა ჩვენსკენ კი ნუ გამოუშვებ მაგ დიპლო-
მიო!.. ეინიცობა, კორტახს არ გადმოცილდეს!..

გოჯ. რატომაო?

ი. იმიტომა რომ, რავეც მოგეხსენება, ჩვენში
წყალ-დიღობა იცის და ფონს ვერ გავა... ის დი-
პლომი დაუსყველდება... ისევ აქ ატრიალოს ჯერ კი-
დეც, სანამ გასავალი ექნეს.

მრავლებმა ხარჯს თხოულობს, ხოლო ვასარყენელ-
გასართობი დაწესებულებანი შემოსავლიანი არიან
და ხელ-მისაცემი, უფრო კი იმისთვის, რომ გამოე-
ზიადან დაწყებულო განკარგულების მიმცემ პარება-
დე სულ უტკოლშვილო და უსახლკარონი არიან!

— იმის მიზეზი რაღაა, რომ ბათუმის საზოგა-
დობამ საბჭოში უმრავლესობა აკეკუნებისაგან
აირჩია?

— ეგონებ, ევეც იმისთვის, რომ ბათუმის საზოგა-
დობა ჯერ კიდევ მცირეწლოვანია და სასამართ-
ლონი აბეკუნებსაც მცირეწლოვანებს, დანთხეუ-
ლებს და ფანტია ეინშვებს ნიშნავენ.

სასაცილოა, სასაცილო, სამუშებარო რომ არ
იყოს!!

??

სალიტერატურა შენიშვნები.



მენი სიტყვა კაზმული ლიტერატურის განვი-
თარება მიდიოდა პრაღელურათ ჩვენს სა-
ლიტერატურო კრიტიკის განვითარებასთან,
ისინი ერთმანეთს აძლიერებდენ და ასაზრდოებდენ-
ნა, ამბობს ცნობილი რუსის კრიტიკოსი პროტო-
პოპოვი (იხ. მისი წერილი „Критика Тургенева“ *)
და შემდეგ განაგრძობს: „რას მოაშენებდა თავის ენ-
ტუზიზმს ბელინსკი და რაზე გამოიჩინდა თავის კრი-
ტიკულ მიზევდრილების ძალას, თუ ხელში არა
ჭკონოდა პუშკინი და ვოგოლი? მეორე მხრით,
განა თხზულებანი პუშკინისა და ვოგოლისა არ და-
ჩრებოდენ რუსეთის საზოგადოებისთვის მკედარ კა-
პიტალათ, რომ არ გამოჩენოდთ ბელინსკი ამ-
ხსენლათ? ეს კერძო მაგალითია, მაგრამ მას აქვს
საზოგადო მნიშვნელობაც. ამ ორ მკედარ დას-
სიტყვა კაზმულ ლიტერატურასა და სალიტერატურ-
ო კრიტიკას არასდგენ შემთხვევაში არ შეუძლიათ
დააკვირონ ერთმანეთს. არც ერთს საქმით დაჯილ-
დობულ ჩვენ მწერალს არ შეუძლია თქვას
რომ იგი არ დაუფასეს; არც ერთ საქმით ნიჭით
დაჯილდოებულ ჩვენ კრიტიკოსს არ შეუძლია ინიგ-
ლოს, რომ სამუშაო არ ჰყოფნიდა, რომ ტემა არ
იყო, რომ მიზეზი პროპაგანდისტის ეერ იშოვნა“.
ღიან, ასე იყო რუსეთში; ასე იყო სხვაგანაც ყველ-
გან და ასე ახლაც, ხოლო ჩვენში კი, სამუშებაროთ,
ეს ასე არ არის და თუ, ერთი მხრით, ჩვენი სიტყვა

ბათუმიდან ხუმრობა.



ა ვანსხევება სასამართლოსკან დანიშნულ
აბეკუნებსა და ქალაქის გამგეობის აბეკუნებს
შორის?—დაკითხა ერთი ბათუმის ხმოსანი.
მეორე ევექილ ხმოსანს.

— მარტო ის, ჩემო მეგობარო, რომ სასამართ-
ლოს აბეკუნებს შრომისთვის წმინდა შემოსავლიდან
ასზე ხუთი სარგებელი აქვთ დანიშნული და გამგეო-
ბის აბეკუნებს კი მთელ შემოსავლიდან შრომის გა-
შუველათ ასში ათი სარგებელი ეძლევათ.

— რა მიზეზია, რომ ბათუმში ვასარყენელ-გა-
სართობი დაწესებულებანი უფრო მატულობენ და
ფესეს იღებენ, ვიდრე სასწავლებლები და სწავლა-გა-
ნათლების საქმე?—გაკვირებით დაკითხა მეორე
ხმოსანი იმავე ხმოსანს.

— აქ არაფერია გასაკვირი, სასწავლებლების გა-

*) ეწიწხალი „Рус. Бор.“, № 1. 1896 წ. გვ. 72—

კანშული ლიტერატურა საქმათ განვითარდა, მეორე მხრით, სალიტერატურო კრიტიკას ჯერაც კი ვერ მოუყვიდა ფეხი; ჯერაც კი არ დამყარებულა იგი მკვიდრ ნიადაგზე. ამ ნაირათ ჩვენი ლიტერატურა თავიდანვე ნაკლულდენი დაიბადა: სიტყვა კანშულ ლიტერატურას თან არ დაჰყვა შესაფერი სალიტერატურო კრიტიკა, რომელსაც უნდა აეხსნა იგი ქართველ საზოგადოებისათვის და დაეფასებია ჩვენი ნიჭიერი მწერალ-მხატვარი ღირსეულათ. რასაკვირველია, ეს გარემოება თითონ სიტყვა კანშული ლიტერატურის ღირსებასაც უნდა დატყობოდა, რადგან ის მოაკლდა მაშინვე სალიტერატურო კრიტიკის დამხრებში. რატომ მ-ხნდა ეს ამბავი? ნუ თუ იმ ვრმა, რომელმაც ერთი საუკუნის განმავლობაში მოგვცა იმისთანა კორიფეები სიტყვა-კანშულ ლიტერატურაში, როგორც გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ე. ორბელიანი, ი. ქავჭავაძე, ა. წერეთელი, ა. ყაზბეგი, გ. წერეთელი და სხვა, ვერ შეძლო ერთი ნიჭიერი კრიტიკოსის მოცემა? ნუ თუ ასე ძნელია კრიტიკა პოეტურ შემოქმედებაზე? თუ ასეა, მაშ, რათ ამოიღებ ფრანგები: წერა ძნელია, კრიტიკა ადვილიო?.. არა, აქ რაღაც სხვა ამბავია და მივხრვი იმისი, რომ ამდენ ხანს ჩვენში კრიტიკამ ფეხი ვერ მოაკლდა, სხვაგან უნდა ეცხოთ. მართლაც, გადათვალისწინეთ ჩვენი ძველი და ახალი ჟურნალ-გაზეთები და თქვენ იქ შეხედებით თითო-იორიღა შევნიერო ნიმუშს სალიტერატურო კრიტიკისას, ხშირათ სრულიათ უცნობ პირთაგან ხელმოწერილს. ამ წერილებს საამოვნებით წაიკითხავს ყოველი ქართველი და ნამეტურ ქართველი მწერალი, რადგან მათ ავტორებს საქმია ნიჭიც ეტყობათ და საქმია მომხადმეცა სალიტერატურო კრიტიკისთვის და თუ ვერ შეუქმნიათ იგი, მხოლოთ იმიტომ, რომ ამისთვის ან ვერ მოუყლიათ, ან საქმის განგრძობა აღარ დაკლიათ. პირველი რიგის მწერალთაგან შევიძლია მავალითათ მოვიყვანათ ბ. ნ. ნიკოლაძე, რომელიც; როგორც სალიტერატურო კრიტიკოსი; არამც თუ ჩვენ ღირბ ლიტერატურას დაშვენიბდა, არამედ უფრო მდიდარ ლიტერატურაშიაც კი ერთ უპირველეს ადგილთაგანს დაიჭერდა, მარტო სალიტერატურო კრიტიკისთვის რომ მოეკლა. ხოლო მეორე რიგს მწერალთაგან უდროით და ძალათ გამოსალმებელი წუთი-სოფელს ეს. მკედლიძე (ბოლსაშვილი), რომლის „კრიტიკული მიმოხილვანი“ გაზეთ „შრომაში“ დღესაც საიმოვნებს იკითხებთან, მაგრამ რაღა შორს მივდივართ? განა იგვე ი. ქავჭავაძე, ა. წერეთელი და გ. წერეთელი შევნიერი კრიტიკოსები არ იქმნებოდენ, რომ სალიტერატურო კრიტიკისთვის მოეკლათ მხოლოთ?.. დიხს, ჩე-

მი აზრით, ყოველ მწერალს, მწერალს, რასაკვირველია, არა მარტო ბუნებითი ნიჭით დაჯილდოებულს, არამედ ღრმად განათლებულს და განვითარებულს თავის ღრობის შესაფერათ, შეუძლია კრიტიკოსობა. უბედურება ის არის მხოლოთ, რომ ჩვენი ჯერ-ჯერობით სამუშაო ისე ბევრია და მუშაში კი ისე მცირე, რომ ვერც ერთმა ჩვენმა ნიჭიერმა და ცოდნით აღჭურვილმა მწერალმა ვეღარ მოიძალა განსაკუთრებით სალიტერატურო კრიტიკისთვის. მაგრამ კრიტიკაც არის და კრიტიკაც, და თუ ერთი ნაირი კრიტიკა უდრის პოეტურ შემოქმედებას; თუ იგი უფრო ძნელიც არის უკანასკნელზე ზოგიერთ შემთხვევაში, რადგან მარტო ბუნებითი ნიჭი არ არის სკამათ, როგორც სახალხო პოეტისთვის მაგალითათ, არამედ საჭიროა თანამედროვე მეცნიერული და ფილოსოფიური განათლების მიღებაც. მეორე ნაირ კრიტიკაზე, თუ შეიძლება ეს სახელი ვუწოდოთ, უადვილესი არა არის რა, რადგან ამ ნაირი კრიტიკა იმის მიხედვით, მოწონს თუ არა რომელიმე მწერლის მიმართულება და პოეტურ შემოქმედების ხასიათი თვითონ კრიტიკოსს, ან აქვებს და ზეცამდის აჰყავს აღებული მწერალი და მისი ნაწარმოები, ან აძაგებს და მიწასთან ასწორებს უსაბუთოთ, ცალიერ სიტყვებით. თუ ამნაირი კრიტიკოსი ზენობრივათ მანაც მალლა დავს და მხოლოთ მწერლის თხზულების მოწონება-დაწუნებაზე ამაყრებს თავის კრიტიკას, კიდევ არა უშავს-რა, მაგრამ თუ უკანასკნელში პირად ანგარიშებსაც ურეგს, თუ კრიტიკას ხმარობს იარაღათ შურის ძიებისა და მწერლის მიმართ, რომლისგანაც რაიმე წყნა ახსოვს, თუნდაც წყენა გამოწვეული იყოს მხოლოთ იმავე მწერლის თხზულებით, მაშინ კი იმაზე უსაზიზღროესი აღარა იქნება-რა... ჩვენ მწერლობაში დღეს რა ესრეთ წოდებული კრიტიკოსი მოღვაწიობს: ბ. გაყფშიძე, ჟურნალ „მოამბის“ სალიტერატურო მიმომხილველი და ბ. კიტა, გაზეთ „ივერიის“ კრიტიკოსი. ჩვენი ვიტყვით რომ ამოდენი სატყვის ამბოგროგორც ვიცით, ბ. გაყფშიძე ეყუთენის იმ გუნდ ჩვენი მოღვაწეებისა და მწერლებისას, რომელსაც ბ. ხომლელმა უწოდა „ტეტიათა მოტრფილენ“ გუნდი. ამიტომაც მის ყურადღებას იმსახურებენ მხოლოთ მის ქართველი მწერალნი, რომელნიც მთელს თავის ძალ-ღონეს ქართველ „ტეტის“ დასურათებას ან დამებენ და სხვა ჩვენ ცნობათ, თუ ბევრია ნიჭიერი მწერლებსაც იმდენად ისვენებენ ბ. კრიტიკოსი, რამდენათაც ეს უკანასკნელნი აკმაყოფილებენ მის ერთათ-ერთ მოთხოვნილებას ქართულ სიტყვა კანშულ ლიტერატურისაგან. ვაჟა-ფშაველა და ზაჩაჩაევი, ნინოშვილი და ბ. არაგვისპირელი, აი ის მწე-

ხალხი, რომელთაც, ბ. გ. ყიფშიძის აზრით, არაერთი ნაკლები ნაწილი არა აქვთ. მათ (ვაჭა-ფშაველას და ბაჩანას) პოეზიას განსაკუთრებული ხასიათი აქვს, სხვა ფერადებს, სხვა წყალი და ჯგაფარი მწინევა, რაცა ძლიერ აახლოებს ერთმანეთთან ამ ორ მწერალს და ალ. ყაზბეგს, იმ განსხვავებით მაშინ, რომ ესენი აცდენ მის ნაკლს, ზოგჯერ დადარბილებულ საპატრიოტო ტენდენციას, მდამბოზა იდეალიზაციას და ერთფერობას. ერთმა ბაჩანამ თვისი ძლიერი ლირიკით გაგაცნო სული და გული, დარდი და მწუხარება ფშაველესურთა, ხან საკუთრათ მათი, ხან საზოგადოთ მდამბოზა, მაგრამ ისე კი, რომ მათი გრძნობა გაატარა თვისი საკუთარ გულში, იქ დაწმინდავდა, დააბრუნა ევროპულ, საკაცობრიო გრძნობა-აზრის ბრძმედში გატარა და ისე მოგვიღწენა. ხოლო მეორემ—ვაჭა-ფშაველამ—თვისი ძლიერი ეპიკით გავეითავლისწინა თუშ-ფშაველესურნი და იმისი საშხატრო-ხერხის ისევე ის გზა აქვს, რაც ბაჩანას. მის შემოქმედობის საიდუმლოც ისევე ისეთია, როგორც ბაჩანას ორისავე ძმის შემოქმედობა, უნარი წერისა ამხვა დამკარებელი, რომ ერთიცა და მეორეც სასურველს, საყოველთაოთ—საკაცობრივო, კაც-მოყვარულ აზრებს თვით მდამბოზი გულშიაც ეძებენ, ან სი გულ-ღვიძლში ავლენენ და, როცა ეს აზრები განსვლავებული ფერის მიიღებენ ამ ოპერაციის დროს, მაშინ მათნი მოგვიმძღვინან ხოლმე უკვე თვისი ტონობით დაწმინდის, დაბრუნებულს¹⁾. აი, როგორ აქვს ბატონი კრიტიკოსი თავის მიერ მოწონებულ მწერლებს, რომელთა მიმართულებით და მომწიფრ შემოქმედობის ხასიათით ემყოფილია. არა დასწავლბათ აქვს აგრეთვე ევ. ნიბოშვილს და ბ. არაგვისს. არც გადაკარბება, არც ზომიერების დარღველობა, არც იდეალიზაცია და რომანტიზმით დატყუება, რაცა ასე უშლის ხელს სხვათა შორის მათ ვაშაშვილისას, არც ნაშეტანი რეალისტობა და სპირიტუალიზმობა. ამ ორ მწერალს არ ეტყობა. მათი მოთხრობა მიმდინარეობს საკვირველი ბუნებრივობით, სიმარტივით, სამხატვრო სიმართლის დარღვევულებათ, ხან დიდისა და ჭეშმარიტის დარღვევით, ხან ლომობიერებითა და მომქმედთა პირდაპირი მებრალბებითა, აეთა და მავნებელთა გავლენებით შეჩვენებითა და შეჩისხებით²⁾. ხოლო, აი, რას ამბობს იმათზე, ვისი პოეტური შემოქმედობის ხასიათიც არ მოწონს: „ზოგიერთ ჩვენს ბელეტრისტს, საზოგადოთ, ძრიელ უყვარს და-

სურათება განათლებულის კაცებისა, ნასწავლ ყმაწვილკაცობისა და ჩვენი კრიტიკაც, ბნ კიტას წერის ღების სახით ურჩევს კიდევ ჩვენ ბელეტრისტებს, ასურათით ინტელიგენციოთ, ჩვენი ფიქრით, ამისთანა ბელეტრისტების სურვილი ამოა, ფუჭი და კრიტიკის მიერ ამისთანების ჩნევა ხომ სრულიათ შეუწყნარებელია.. ამიტომ, ჩვენი ფიქრით: „ვარპანძიანთ ნინო“ არტურ ლვისტისა, ნაქები „იერიის“ კრიტიკოსის მიერ, დაუშთავრებელი მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, დაბეჭდილი „შოამაზე“³⁾, აგრეთვე ნაქები მისგანვე, სუსტი მოთხრობანი. ამ დაუშავრებელის მგზავსი მოთხრობა წინათაც დაწერა ალ. ყაზბეგმა, მაგრამ ძალიან სუსტი იყო. ეს მოთხრობა „განიციხული“ ვახლდთ“³⁾... ასე დიდ ხანს იმიტომ შეეჩრდიო ბ. გ. ყიფშიძის წერობზე, რომ ნათლათ გეგნენებია მისი კრიტიკის ხასიათი: მას პოეტური ნაწარმოების ღირსება—ნაკლებუცანების საჩვენებლათ აქვს ერთათერთი კრიტიკიკობი, საზომი—თავისი საკუთარი მიღრეკილება. ეინც აკმაყოფილებს ამ მიღრეკილებას, ეინც ასურათებს მარტო მდამბოზა, ის ჩინებული მწერალია; აგრეთვე ის თხზულება, რომელშიაც გამოყვანილია მდამბოზა ცხოვრება შედგერია, ხოლო ის, რომელიც ენება განათლებულთა ცხოვრებას, სუსტია, უყარგისია, გაუჭებელია. საჭუთები?.. მაგრამ საბუთების ის არ დავედრეს და ცალიერ სიტყვებით ამ აქებს ვისმე, ამ აძავებს, ზშირათ ერთსა და იმავეს აქებს კიდევ და აძავებს, იმის მიხედვით, თუ რამდენათ დააკმაყოფილა მისი საკუთარი მოთხრობილება და სურვილი. მაკალითათ ალ. ყაზბეგი იქ, სადაც წერს მდამბოზა ცხოვრებას, უახლოვდება, კრიტიკოსის იზრით, ვაჭა-ფშაველას და ბაჩანას, ხოლო სადაც ენება განათლებულთა ცხოვრებას—სუსტია, ჩვენ ექ ვერ მივხვდარვართ, როგორ შეიძლება, რომ ნიჭიერმა მწერალმა ჩინებულათ დავისურათოს ის სფერა, რომელსაც ნაკლებათ იცნობს და სუსტათ ის სფერა, რომელსაც უფრო კარგათ იცნობს. მართალია, ალ. ყაზბეგი ხალხის შვილია, მარა მერე ხომ უშეტესი და უეტესი დრო თავის სიცოცხლისა განათლებულთა წრეში გაატარა, მას შეესისხებ-ხორცა? მაშ, როგორ მოხდა, რომ ხალხის ცხოვრების დასურათება შეენიერთ შეძლო და განათლებულთა ცხოვრების დასურათება კი სრულიად ეერ მოახერხა? მე არ ვამბობ, რომ ალ. ყაზბეგმა უნაკლებით დავისურათა ჩვენი განათლებულები და მისი „ეინ გეამტყუნოთ“ შედგერია-მეთქი. მე ვამბობ მხოლოთ, რომ ეს მოთხრობა სრუ-

1) იხ. „შოამაზე“ № 1, 1896 წ. გვ. 93—94.
 2) იხ. გვ. 98.

3) იხ. გვ. 99—100.

ლიადაც არ ჩამოუყარებდა ალ. ყაზბეგის ხალხის ცხოვრებიდან აღებულ მოთხრობებს; რომ ამასაც იგივე ღირსება და ნაკლებად ემჩნევა, რაც იმათ. ის კი არა, ალ. ყაზბეგის „გაგამტყუნო“ და „ეინ გაგამტყუნო?“ უფრო რეალური მოთხრობებია, ვინებ „ელგუჯა“ და „მამის მკვლელობა“ და ეს არც გასაკვირველია, რადგან პირველ მოთხრობებში ავტორი გვიწერდა თავის თავს და თავის ახლო ნაცნობებს, ხოლო უკანასკნელებში სახალხო გმირებს, დროით და გარემოებით მისგან დაშორებულებს. შეიძლება „კერძო ამბავია“ მართლა, „ეინ გაგამტყუნო?“ როგორც ე. ყიფშიძე ამბობს, მაგრამ, თუ ავტორს ნიჭი აქვს, ხომ ნიჭიერათ დაწერილი იქნება და ნიჭიერათ დაწერილი კერძო ამბავი — კი იგივე პოეტური ნაწარმოებია, იგივე მოთხრობა და რომანია, თუ არ წაგვიტანავთ რამ, საფრანგეთის თანამედროვე რომანსატის ალ. დოდესი, გავანდილი მანაც გვეჩვენება მისი სახელი, რომელსაც თუ უფრო მაღლა არ აყენებენ ემილ ზოლას სახელზე, უკანასკნელის თანასწორათ მანაც იხსენიებენ. წარმოიდგინეთ, რომ ალფ. დოდე თავის სიტყვებში თურმე მხოლოდ კერძო ამბავს წერს. აი, რას ამბობს ერთი მისი ბიოგრაფი: „თუ საზოგადოთ მართალია, რომ შვედლოის ჰიოგრაფიის უტოდნელათ, მწილია სასტიკით გაგება მის თხზულებათა, ალფ. დოდეს შესახებ ეს ქვეყნობა კიდევ უფრო ნათლათ ჩანს. მართლაც დოდემ დაიღვა პრინციპათ მთელი თავისი სალიტერატურო მოღვაწეობისა — წეროს მალოთ ის, რაც წახა. აქედან ცხადია, რა მჭიდრო კავშირიც აერთებს კერძო ცხოვრებას რომანისტიკას და მის თხზულებებს. იმ პირებში, რომელთაც ჰხედებოდა დოდე ნამდვილ ცხოვრებაში, ჩვენ თითქმის ყოველთვის ვცნობილობთ ერთის, ან მეორე მისი რომანის გმირებს; იმ გარემოებაში, რომელშიაც ეითარებოდა სულიერი ფიზიონომია დოდესი, ჩვენ ევოლობთ მიზნებს, რომელთაც დაჰმადეს განსხვავებული კოლორტი იმის თხზულებათა *).“ დანახ, ასე და ბ. გ. ყიფშიძე კი უკვირებს ალ. ყაზბეგს, როგორ გაჰმედე და შეეხებ ვისამე კერძო ცხოვრებასა? „არც ეალერისა და არც მარის არაფერი ტიპიური არა ეტყობა — რა და მთლათ მოთხრობა „ეინ გაგამტყუნო?“ პასკვილს უფრო ჰგავს, რადაც ნამდვილ კერძო ამბავს, ვილასაც გამოსაჯავრებლათ დაწერილს, ვიდრე მოთხრობას* და სხვ. პრინციპებს ბ. კრტიკოსი *). ვალერი ტიპი არ არისო, მარი

ტიპი არ არისო. საკვირველია! ტიპი ხომ განიჭობდა ცხოვრებაში ნახულ პირისა. და თქვენ რომ ერთი ვალერიის მეტს ვერ იცნობდეთ, ავტორს რას ერჩიოთ? მაგრამ, როგორც ენახეთ, ჩვენი კრიტიკოსი გატაცებულია თავის „idée fixe“-ით და მხოლოდ იმ მწერალს აფასებს, რომელიც მარტო მზახიოთა ასურათებს, იმ ნაწარმოებს ექებ-აღიღებს სადაც მარტო მდებარია დასურათებული; ამატმ სრულიადაც არ გვაკვირებს მისი აზრი „ეინ გაგამტყუნო?“ და სხვა მოთხრობებზე, რომელშიაღი ინტელიგენტთა დ განათლებულ ახლგაზნათა ცხოვრება აწერილი... გავდვიდეთ ახლა ვაზთ „ეივინის“ კრიტიკოს ბ. კრტიკოს. როგორც ბ. გ. ყიფშიძეს იმ ბ. კრტიკოსს აქვს თავისი „idée fixe“-ი. ეს არის საფრანგეთის ლიტერატურის ტრფიალება. წერილში პოლბურცეზე, წერილები „ევილიუტანზე სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში“, წერილები ლემბერზე, ბრიუნეტერზე და სხვ. აი, ბ. კრტიკოსი წელი ჩვენს ლიტერატურაში. კეთილი და პატიოსანი როგორც ეტყობა, ავტორმა იცის ფრანგული ენა, შესწავლილი აქვს ფრანგული ლიტერატურა, თვალაღვევებს მის მსგელობას და ცდილობს ქართულ საზოგადოებას გააცნოს იგი, კიდევ ვიტყვი, კეთილი და პატიოსანი და გზას დაუულოცეთ ახლგაზნათ ავტორს ამ სიმპატიურ, თუქცა ცალ მხრივ მიმართულ გზაზე, სასიარულოთ. ლმერთმა ხელი მოუშარათ და მისცეს იმდენი ძალა, რომ მთელ საფრანგეთის ლიტერატურა გადმოეთარკმნოს და გადმოეჭართულებიოს. ამით დიდ სამსახურს გაუწევს და იგი ქართველ საზოგადოებას, რადგან შეძლებს მისცემდ ყველას, ვინც ფრანგული ენა არ იცის მის მგებერ, რომ რუსულ თარგმნებისთვის მიეშარათ, სამშობლო ენაზე გაცნობოდენ საფრანგეთის ლიტერატურას. ჩვენ გვეგონა კიდევ; რომ ბ. კრტიკოსს აქვს დადგებოდა და საფრანგეთის ლიტერატურის ქართულ ნიადაგზე გადმოამწერის ჩოლით დაქმნილი ფილდებოდა, მარა მარტო ეს არ იქმნა და ქრტიკოსობაც დაიჩემა. დაიჩემა და გვაუწყა თავის პირველ წერილშივე, რომელსაც „ცხოვრება და ზელოგება“ დაარქვა („ევილია“ № 150, 1895 წ.); ჩვენ სულელი გვაქვს დღევანდელს ჩვენს მწერლობას უფრადეს მიეკაცოთ, მისი შესანიშნავი მოვლენანი აღნიშნოთ; აგრეთვე, რადგანაც ყოველი მწერლობა ცხოვრებასთან დაკავშირებულია. ცხოვრებების უმთავრესს მუთხვევებსაც ვერ აფუტკვეთ ევრდსაო? „გარდა ამისა... საჭიროთ მიგანინა დღევანდელის ლიტერატურის წინამარბედს შეეცხოთ და მისი ესტუტანა და მორალური მნიშვნელობა აღენიშნოთ“ და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, სრულ საენციკლოპედი

*) „Собрание сочинений Альфонса Додэ“, т. XII გვ. 390.

*) „მაამეკ“ № II 1896 წ. გვ. 107.

ჯაგუბ მაშინვე ხუთი თუმანი ჩაულა დედაკაცს ხელში.

მზეს კარგა მოელოა, როცა მარქიტამ შეალო ძამიაშვილიანთ ეზოს კარი და მივსალმა მაგდას. მაგდა წამოდგა ტახტიდან, მიიპატაჟა სტუმარი, ჩამოართვა ბოლჩა და ჩაღრა.

— დბძანდლი! რისგან არის მოგგონებებიართ? უთხრა მაგდა და თან ეჭვით შეხედა დედაკაცს, რადგან იცოდა, ის უსაქმოთ არ მივიღოდა მაგდასთან.

— იმ, ქალო, ძალიან მინდოდა მენახეთ, მაგრამ მოკლა არა მაქვს. ლუკმა პურისთვის დაწინაწალბ. გმადლობთ! ჩაის მე ადრე ესვამ ხოლმე. ახლაც საქმეზე მოვედი: უნდა მოიკალო და კვირამდენ ერთი ლენჩაქი შევიკრა. ჯაგუბ კორსაიას ხომ იცნობდ, ორბელიშვილისას რომ იყო მოუთავით? ახლა იმას დიდი ვაჭრობა აქვს გამართული, სოფდაგარი კაცი შეიქმნა. იმან დამაჯალა, საგულიგულოთ შეგერილი ლენჩაქი მიშოვეო; თურმე სადღაც უნდა გაგზავნის საჩვენებლათ. მაშინვე შენ დავსახელე, ეიცნობო! რანაირაც თითონ ამოაჩიროს, ფასიც თითონ დაადგას: ეენდობი იმ პატიოსან ადამიანსა, — მითხრა.

— კარგი, ჩემო მარქიტ, შეგვეკრამ, საქმე ღვთის მადლით ბევრი მაქვს, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, რომ მოგგონებებიართ. რასან საჩვენებლათა ნდომეზია, მე ვიცი, როგორ ლენჩაქსაც ამოვიღებ: მადლობელი დამჩნებინ. ფასი კი შენ უთხარო, ხომ იცი, რა ღირს; მე შემოტყებება და უფრო ნაკლებ დავაფასებ.

ამ ლაპარაკის დროს მარქიტას ოთახისკენ ეჭირა თვალი. ოთახის კარი ღია იყო, ფანჯარას ფარდა ეფარა. ძალიან უნდოდა სახლში შესვლა და ქალის ნახვა, როცა ნახა, რომ შინ არ იწვეედენ, უყურათ წყალი მოინდომა და მანამ მაგდა დაიძვრებოდა ადგილიდან, თითონ შესრიალდა კარებში. მაგდა განვებ არ იწვეედა ოთახში, არ უნდოდა ეჩვენებინა მძინარე ქალი და მიულთავებელი სახლი; არ იამა დედაკაცის ქტევა, მაგრამ ეღარა აწამარა.

— ქა, გაუფრუფრებული არა წევს! ავ თვალს არ ენახება. დაუსუსი არ არის ამისთანა ქალი უფულო იყოს და ტუტყიან ხეპრე ვისმე ჩაუფარდეს ხელში.

ნუშო გაიშუმუნა ლოგინში.
— დაიძინე, შეილო, ინებებრე, ჯერ შეგიძლია იაზნო: კარგი დედა გადვას თავს. მერხე, ქმრის ხელში, ვინ იციან რა დღე მოგვლის; იქნება განთიადისას გაყენებდენ, ქმარაშვილს და სახლს მოუარევეო. ღარიბი კაცის გაჩენაში ხომ ღმერთი არა ჩეულა.

— გუშინ გვიან დაძინეთ და ადრე აღარა გვიყენე, შემეცოდა, მოხანდა ბოდიში დედა; თან თვალისა შეულოცა ვუნებაში.

მარქიტა კიდევ შეხებეწა მაგდას დროზე შეეკრა ლენჩაქი და საგანგებო რამ გამოეყენა. დალალი რომ წაეიდა, მაგდა დაუფიქრდა იმის სიტყვებს და სედა აეშალა.

— მართლა და რა ეშველება ჩემ ნუშოს? თუ მიეცე საწყალო ვისმე, გინდა ღურგლიანთ ვანუსა, ჩა გამოვა? ჯაგუბ ამას არ შეუძლია, ვაკირებულ ცხოვრებას არ არის შეჩვეული. ორ დღესაც ვერ ვაძლებს, დატლევდება... უწინამც დღე დამედიოს... კიდევ რომ ვაგინებო და მიეცე, განა თითონ ვაძუებ ბა?.. სწავლა ვერ დავამთარებინე ჩემი ხელმოკლეობით, ვერც ხელსაქმე ვასწავლე. არ მიეცე და მამინე წაიყენის უმზითოვს? ეს საკოდავი ქობია და მე მეყოს სამარხათ თუ ქალს მშითეთ? ამ ბოლოს დროს რაღაც ზერაქვერათ ვარ; რომ მომიფედს რამე, ხომ მთლათ დაიღუბება, მოვარდება ნაღვარი და წაიღებს, — ფიქრობდა მაგდა.

სანიშნულ დროს მარქიტა ისევ მივიდა მაგდასას. დაღამო ხანი იყო, ნუშოა ტოლო-ამხანაგებში გასულიყო. ახლა კი პირდაპირ მიმართა საქმეს.

— მას აქეთ, რაც იმ დღეს შემოგებრუნდი, გული აქ დამრჩა: ძალიან მომეწონა შენი ქალი; რამდენი ხანი იყო, არ მენახა. ევემა გამხდარა, გათხოვების დრო აქვს. ქალი იჯდეს — ბერდებოდესო. გვიეცე კუნწულაანთ კონა გთხოვს. რატომ არ აძლევ?

— ერთი საწყალი ხეპრე კაცია, რითი უნდა შეინახოს ცოლი-შვილი?

— ლოთი არ არის და ფოთი, როგორ დააჩვენო ოჯახს თავის ხელობით, ხომ გავგონია, ქალი პირდაღებულმა მეგობა რომ გთხოვოს პირველათ, უნდა მისცეო.

— ვიცი, ჩემო მარქიტ, მაგრამ ეგ მეგლი ვართო გავტუტული და პირ-მყარალია; როგორ გდღეს დო ჩემი სათუთთ აზლილი გგონა?

— მართლს ამბობ, გაიღობა მაქანკალმა, გვლადი. შენი ქალი არ გამოადგება ღარიბ და მუშა ოჯახში. ხომ იყო შეილიგიით მიყვარს, მაინც ვიტყვი: მამას ოჯახის მოვლისა და ჯაფის თავი არა აქვს, შეჩვეული არ არის.

— ყმაწვილია — გამოიცდება, შეეჩვევა.
— მემრე რა საქირია, რომ გამოასდელ ადგილას ჩევადლოთ? ისეთ კაცს მიეცეთ, ქალბატონად ვით იცხოვროს.
— შენ პირს შარქარი, ჩემო მარქიტ, მაგრამ ვინ გვალისსებს ისეთ კაცს? მდიდრები მდიდრებსვე თავენ, ფული ფულს ეძებს.

— მაგდა! ქვეიანი აღმინანი ხარ, კარვით დამიკ-
დე უფრო, უთხრა მარქიტამ და მიუჯდა მუხლის ძი-
რას. ჯაგუ კორსაია ახლა სოფდაგარი კაცია, დიდი
მდიდარი შეიქნა. სხვა არა იყოს-რა იმან რომ მთა-
შინდაში სახლი შეიძინა, მარტო ის აცხოვრებს
ერთ ოჯახს. გუშინ კიდევ შევიარე იმასთან. ლაპა-
რაკში სიტყვა გაუთარე ცოლის შერთვაზე: ეიცოდე,
ქალ ვინება. იმანაც აღარ დამიშალა. ლამაზი ქა-
ლი მინდა, ოღონდ ცოტა იცოდეს რამე და მიხერა-
მოხერა ჭქონდეს, ფულს არ დაეცემბ, ფული ბევრი
მაქვს; უთუოთ პატროსანი ოჯახისა კი უნდა იყო-
სო. მე მაშინვე ნეკზე ვეცბინე; ჩვენი ნუშო მომა-
გონდა. იმას რომ მიეცეთ, მაგის ბოდს ძალი არ
დაწყვეს.

მაგდა დააკვირა მაქანკალს და ჩაუქრა.

— ეგ ყველა კარგა, მაგრამ ხომ იცი, ჩემო
მარქიტო, მა ბეშის მეტი არაფერ გამანჩია, მაგას შე-
ვლიე ჩემი ყმაწვილ ქალობა; მაგას რომ შეეძინებეს
რამე, მე რომ ეგ გაუბედურებული ვნახო, თავს მო-
ვკლავ. ის კაცი ვინ იცის ვინ არის, ვინ იცის რო-
გორია, იქნება ერთი გაქნილი ვინმე; რომ გვილა-
ლტოს, რალა გვეშველებს? მდიდარი კაცია და ჩვენ
ლარბებზე, იმასთან რას ვგაფიქრობ?

— იო, ქა! საეჭუო ვინმე რომ იყოს, ვანა მე
გამომეპარებოდა? მაინც კადევ ისე დავიჭიროთ საქ-
მე, რომ ვერაფერ მოგვატყუოს.

კიდევ ბევრი ილაპარაკეს ამ საგანზე და ბო-
ლოს დაყუდა მაგდა. ან კი ჯაგუზე კარგს ვის დაუწი-
ვებდა ლოდინს? ერთი პირობა კი დაუღია: ნიშნო-
ბა და ქორწილი ზედინზედ უნდა მომხდარიყო.

VIII.

მარქიტა რომ წაეიდა, მაგდამ ერთი პირი გა-
მოიტერა, თუმცა სასინარულო იყო იმისთვის, რომ თა-
ვის ნაწინატრ შეიღოს გზას აძლევდა და კარგ გზა-
საც, თუმცა იცოდა, რომ ერთხელაც იქნებოდა ვა-
წურინდებოდა ბუდიდან იმისი გვრიტო, თუმცა შე-
თვისებული ჰქონდა აზრი, რომ იმის ნუშოც, რო-
გორც ყველა ქალი, ბოლოს მაინც დედის კალთი-
დან სხვის კალთაში უნდა გადასულიყო, თუნდაც ეს
დედის კალთა სულ ვარდებით ყოფილიყო იმის-
თვის მოუვნილი, — თუმცა ესმოდა ეს ყველაფერი,
მაგრამ ისე შეჩვეოდა თავის შვილს, რომ უმიმსოთ
ცხოვრება შეუძლებელათ მიიჩნადა, ისე შეჩვეული-
ყო ნუშოსთან გაუყრელათ ყოფნას, რომ თავისი
თავი და შვილი ჯერ ისევ ერთი ვგონა. ეს იყო
მიზეზი, რომ ქალის გულიდან ავლევამ დარდები
აუშალა საწყაღს. ისიც კი უნდა თქვას კაცმა, რომ

მაგდა, როგორც თითქმის ყველა ქერაიე, ტრირის
იყო მიჩვეული და ხამუშ ხამუშ ცრემლებს წაალე-
კინებდა ხოლმე შეგუბებულ გრძინებებს. მაგრამ ტი-
რილით რა ვაფიქრობდა? გამოსაშვებ სისხლს გამო-
შვება უნდა.

იმ ღამეს ქალს დედა ძალიან უაღვრესბდა,
ფარფანასაფით თავს ევლებოდა, თაფლივით ტუბილ
სიტყვებს აწევებდა, თან სულ თავის ქერიე-ონრო-
ბაზე ელაპარაკებოდა, სიღარიბეს უწიოდა; თანდათან
ესუსტლები, ხანდახან ცუდთა ვგრძნობ თავს და
შრომა მიჭირდებო. როცა ქალი ლოგინში ჩაწეა,
დედა მიუჯდა და ეაქრობაზე ჩამოუყვო საუბარი:
ვაქრობა უფრო სასარგებლოა ხელობაზედო; მაგა-
ლითათ ჯაგუ კორსაია მოიყვანა, რომელიც აღებ-
მიცემით ვამდირებოფულიყო, ფულიანი კაცი ვამხდა-
რიყო. ბოლოს გაუცხადა, ჯაგუმ კაცი მომიგზავნა
შენა ვთხოვლობსო.

ქალი სულაც არ აღეღედა ამ ამბავზე, გულ-
დამშვიდებით მოისმინა დედის სიტყვები; მარტო
„იშ“-ის იხანდა და იქით ბრუნდებოდა. დედას ვგონა,
ქალს ისევე გაუძნელდებოდა დედის დაშორება, რო-
გორც თითონ დედას ქალის და ცოტა არ იყოს
ეწყინა შვილის ესეთი ქტევა.

— მე გული მიეცდება, დაშორებაზე რომ ვფიქ-
რობ, ამას კი, ვგონებ, აინუნშიაც არ მოსდის, ვა-
იფიქრა მაგდამ.

ქალმა კი იმისთვის მიილა ვათხოვების ამბავი
ესე დინჯათ, რომ მომხადებელი იყო ამ ამბისათ-
ვის, წინაშე იცოდა ეს ესე უნდა მომხდარიყო. ნუ-
შამ მიმაქცია ჯაგუს ყურადღება, როცა იმან ორბე-
ლიანთ საყდარში დაიწყო საარული და აღგზნებულ
თვალგებს არ აშორებდა მას. ისიც კარგა შენიშნა,
რომ, თუ ან წირვის ან ლოკვის დააკლდებოდა, ჯა-
გუ უთუოთ ვაივლიდა მახლობელ ქუჩაზე და თე-
ლი სულ მაგდანათეკნ რჩებოდა. ქალი მიხედა, რომ
ჯაგუ ვაგივებული იყო იმისთვის და დატკმა: ადა-
მიანი დიდ ექმყოფილებასა გრძნობს, როცა ხედავს,
რომ რომ ის უყვარს ვისმე, თუნდა უღირსსაც უყ-
ვარდეს. ჯაგუ კი უღირსი არ იყო: სუფთათ მოწყო-
ბილი მოხდენილი ვაქაკი, კარგ შთაბეჭდილებას ან-
დენდა; ქალმა იცოდა, რომ ჯაგუ ახლა დი-
დი მდიდარი იყო და ვერცხლის ბჭყურიალი თვალს
უბამდა, მით უფრო ადვილათ, რომ უსაქმობით და
მდიდარ ოჯახებში სიარულით კეთილ ცხოვრებაზე
ოცნებას შეჩვეოდა, რომელიც დაქმყოფილება უნ-
დადა, ქალი კიდევ შეთვისებოდა იმ აზრს, რომ
ჯაგუს ცოლი ვახდებოდა.

— ჯაგუმ რომ შემირთოს, ფიქრობდა ეკლე-
სიაში მუხამოდრეკილი ნუშო, ჯაგუმ რომ წამიყუ-

ნოს, მაშინ გამოსცდება კაკლანთ ლიზას შერთი თვალები, იმ დღეს რომ ვერცხლოს ქამარი შემო-
ეკრა და იპრანებოდა; ზოგიც მაშინ აუკრან ტუჩი
ჩემ ტანსამოსს თუნდ ორბელიშვილის ქალებმა! ჩა-
მავალ უბანში ეტლით ძვირფასათ ჩაცმული, უბნე-
ლების ხილსა და საჩუქრებს ჩამოუტან. როცა შინ
მეწვევიან, ისე დაუბნებდი, რომ უყვირდით. შევე-
ხვევები ჯაგუს და დედს ზაფხულის ქათმის შეღვე-
რა... მაგრამ, დასწყევლა, რა სახელია ჯაგუ? ნეტა
სოსანა ერქვას... საწყალი სოსანა! იმასაც ხომ ძა-
ლიან უყვარვარ. ვინ იცის ახლა სად არის. რუსის
ქალს გაიცნობდა ვისმე.

როცა მარქიტა მივიდა ლენჩაქის შესაკვეთათ და
ჯაგუს სახელი ახსენა, ნუშო ლოკიში სმენთ ვა-
დიქცა: ეგონა, ან ახლა ეტყვის დედს კორსაია
ქალსა ეთხოვსო, ან ახლა. მარქიტა რომ ისე წავი-
და, სამაძვკლო საქმეზე კონრტე არ დაძრა, ქალს
ნუკეშები გაუტრუვედა და ძალიან ეწყინა; გაჯერდა
მარქიტაზედაც, ჯაგუზედაც.

— იი, მები კი დაყარე! გამდიდრებულა და
დავიწყებია, რომ ორბელიშვილის მოსამსახურე იყო.
თუ ლენჩაქის შემოკვეთის მგერი არა უნდოდა-რა,
მამ რალს დახებტება საყდარში და თვალებს ობრე-
ცავს ჩემკენ.. მეღელქნა და ფულის ძებნაში ამოუ-
ცა სული. ვის ეკადრება?! სწორეთ მაგის ცალია
სოსანა! იმან პირობა მომცა; აჯერ გაათავებს სწე-
ლას, ჩამოვა რუსეთიდან და ჯვარს დაიწყოთ. ნა-
სწავლი კაცია. მეუბნებოდა: მასწავლებლათ გამწვს-
დები, ვიცხოვრებთ ჩვენთვის ტბილათ და პატრის-
ნათო. მართალია სიმდიდრე არ გვექნება, მაგრამ
ჩვენი სიყვარულით დღე მდიდრები ვიქნებითო, ასე
ფიქრობდა ნუშო. ჯაგუზე მაინც გული მოსდიოდა,
ჯაგრობდა; ან შაბათ საღამოს შეხებდაც კი აღარ
აღირსა კაცს, თუმცა საწყალი ციკსავით შექცე-
როდა იმას.

ამ გუნებაზე, ამ ფიქრებზე იყო ნუშო, როცა
დღემ შეაკოზინა ჯაგუს სურვილი. ამ ამბავმა და-
ამპყროფლი ქალის თამოყვარეობა, მაგრამ ჯაგუ-
ზე გული მაინც ჯერ ვერ მოებრუნებინა, ვეღარც
მთლათ დაეჩილა სოსანას სახე, რომელიც ისე
ცხადათ წამოუდგა იმას, როცა ჯაგუზე ჯაგრობდა.
ეს იყო მიზეზი, რომ როდესაც დედა რამდენჯერმე
ჩაეკითხა ქალს, იმან პირდაპირი პასუხის მაგიერათ
მორცხობით მიუტოვა:

— სოსანა რომ მიდიოდა, მითხრა, მიყვარხარ,
მე შეგერთავ, როცა რუსეთიდან დაებრუნდებიო;
ჩვენ პირობა მივეციტ ერთმანეთს.

დედის გულს ისარივით მოხდა ეს ამბავი და
მოულოდნელათ შეარყია იმისა ფიქრები, მართალია,
უხაროდა, რომ მდიდარ კაცს აძლევდა ქალს, მაგ-

რამ სულ არ იცნობდა იმ კაცს, არ იცოდა რა სა-
სიათისა იყო, როგორ შეეთვისებოდენ ერთმანეთს
ქალ-სიძე, სოსანა კი, ის პატრიოსანი, განათლებული,
ყველას საყვარელი სოსანა, რომ დასიძებოდა, მა-
შინ სხვა იყო. მდიდარი არ იყო სოსანა, არც რო-
დისმე გამდიდრდებოდა იმის ფიქრების კაცი, მაგრამ
რა საქირია ეს? იმდენი მაინც ყოველთვის ექნება
სუფთათ და უფლოთ იტბოროს... მაგრამ სოსანა
ჯერ როდის გაათავებს სწავლას. იქნება რუსეთშივე
შეერთოს ცოლი. ვინ იცის აღარც კი ახსოვს ყმა-
წვილობის გძნობა, იქნება მანძილმა და ხანმა ნის-
ლით დაუარეს სურვილის საგანი: როგორც თვლი
შორს ისე გულით... ესეც რომ არ იყოს მარქიტას
რა პასუხს ვაეცემ? ხომ გადავიხდის, გველის ხერულ-
ში ვაძვრებ და გადავიხდის. ან რათ უნდა მივაყე-
ნოთ უნატოთრობა იმ კაცს, ჩისთვის უნდა დავიწე-
ნოთ?.. უველა ამ ფიქრებმა სისწრაფით გაუბრინეს
მაგდას თავში გადასწყვიტა გზისათვის არ გადაე-
ცია.

— ხომ იცი, შვილიო, როგორ მიყვარს სოსა-
ნა, როგორ უყვარს ის მთელ უბანს; ბედნიერი ვიქ-
ნებოდი შვილათ დამესახა ის, მაგრამ გახსოვდეს,
რომ დანიშნულებიც იღებენ ხელს ერთმანეთზე, ჯვარ-
დაწერილობიც კი იყრებიან და ყმაწვილის ერთ სიტყ-
ვას როგორ დადენდათ, იმის გულისათვის როგორ
უთხრა უარი სოვედავარ კაცს? რუსეთი გრილია, ვინ
იცის როგორ გაუგრილდა გული. ან დაბრუნდება
კი საქართველოში? ამბობენ, ბევრ ქართველებს სტო-
ვებენ რუსეთში, იქ აძლევენ ადგილებსაო.

ნუშოც ესე ფიქრობდა, დედის სისტყებით კვე-
ში უჯდებოდა: სო'ანას მისდა საუბედუროთ ვერ
გაუღიქვინა ქალის გულში ნამდვილი სიყვარუ-
ლი, — ის ამირანი, რომელსაც, ჯაგუბიცი კი ვეღარ
უძლებენ, თუ ერთი შვიძრა. ნუშო ახლა ჯაგუსც
და სოსანასაც ისე უყურებდა, როგორც ცხოვრების
სახსარს, — ისეთ ცხოვრების საშუალებას, რომელსაც
უნდა დაცმაყავილებინა იმის სურვილები, იმის
ოცნებები და ჯაგუ ამოიჩინა, მდიდარი ჯაგუ, რო-
მელიც აკანებულეიცა იმისი ეშხით, რომელიც
ცილობდა ახლავე ფეხ-ქვეშ გაეშალა სატრუფოსა-
თვის თავისი ვეჯცობაც, თავის ქონებაც. ქალმა
აი ამიტომ მიუკო უკანასკნელ ჩაკითხაზე დედას
რაც გინდა ქენოა

გ. პანოვი.

ქალ-მეცნიერის ხან. ნუშო (მეწამლე აქნება)
მედიკოსი
გაბრიელისა